# საქართველოს რესპუბლიკა

> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 აგვისტო, 2014 წელი.

№162-163 (7544)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ჟამი განკითხვისა

## უყვარდათ ჯიგრებს დროსტარება და გრიალებდნენ კიდეც!

4




## რამდენი „ნადირება“ ნაცებისთვის ოთო კახიძე თვეში?

4



## საქართველო თავად გამოიძიებს, თუ საქმეში ჰააგა ჩაერევა?

3

არ მინდა ვიყო იმ ქვეყნის შვილი, რომლის პრეზიდენტი დამნაშავედ არის ცნობილი — ეს ელემენტარულია, მაგრამ ის, რომ რაიმე სანქციები დააკისრონ საქართველოს, ან მსგავსი რამ მოხდეს, ეს არ შეიძლება, რადგან აქ არის მეორე საკითხი - უნდა მოხდეს განწმენდა, თუ არ მოხდა დანაშაულთან ბრძოლა, დანაშაულის შეფასება მორალურად, პოლიტიკურად და იურიდიულად, ის ისევ განმეორდება. ამიტომ, ჰააგის სასამართლოს ამოცანა არის, ებრძოლოს დაუსჯელობას.

მინდია უგრეხელიძე



## სამხრეთი კავკასია და მსოფლიოს პრობლემები

„ამერიკა და ევროპა დაინტერესებულები არიან, რომ კავკასიაში კვლავ დაიწყოს ომი, რამეთუ რუსეთს, რომელსაც დიდი პრობლემები აქვს შექმნილი უკრაინის მხრიდან, ანალოგიური შეექმნას კავკასიაშიც, რაც დიდი დარტყმა იქნება რუსეთისთვის, ვინაიდან ის (ომი) თავისთავად განვითარდება ჩრდილო კავკასიაში“

8



## რეცეპტების ინსტიტუტის ამოქმედება პრობლემებს არ შექმნის

5

## დიდი მეოცესაუკუნელი

# ე. + ნ.

*სოფიკო შევარდნაძე თავისი ბებიისა და ბაბუის, აგრეთვე დასაწყისისა და დასასრულის და სამი წუთის შესახებ, რომლებმაც შეცვალეს ოჯახის მსვლელობა და გახდნენ შემობრუნების წერტილი ქვეყნის ისტორიაში.*



6 7

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ალიანჩალიანი

## სამღვდელოება საქართველოდან მარშუნოკის გაძევებას ითხოვს

**ანაკლიაში რამდენიმე პირმა პლაკატები წარწერით „არა სოდომ-გომორს“ დაწვა. ადამიანთა ერთი ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავს „პროგრესულად მოაზროვნეს“ უწოდებს, კაზანტიპის ფესტივალს ემიჯნება. მათ განმუხურის ხიდის გადაკეტვა სცადეს, თუმცა, სამართალდამცველებმა ამის საშუალება არ მისცეს.**



პარალელურად სასულიერო პირებმა ანაკლიაში განმუხურის ხიდთან წირვა ჩაატარეს.

როგორც სასულიერო პირები აცხადებენ, ისინი ყოველდღე გააგრძელებენ ლოცვას და კაზანტიპის პრეზიდენტის ნიკიტა მარშუნოკის საქართველოდან გაძევებას მოითხოვენ.

ამასთან, კაზანტიპის პრეზიდენტი სასულიერო პირებს ფესტივალზე ეპატიჟება.

კაზანტიპის პრეზიდენტი მზადაა, სასულიერო პირებს ესაუბროს და მათ ურჩევს 20 აგვისტოს ფესტივალზე მივიდნენ.

კაზანტიპის პრეზიდენტის ნიკიტა მარშუნოკის თქმით, აქციის მონაწილეები ემოციებს არიან აყოლილი და სინამდვილეში, არ იციან, რა ხდება ფესტივალზე.

## 140 მილიონი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან

**საერთაშორისო** სავალუტო ფონდი საქართველოს 140 მილიონ დოლარამდე ტრანშს გამოუყოფს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დამტკიცებული Stand-By Arrangement (SBA) პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ტრანშების გამოთხოვის შესახებ საკითხი მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე განიხილა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა, თანხას საქართველო 3 წლის განმავლობაში მიიღებს.

SBA სპეციალური ნასესხობის უფლებას ნიშნავს. საუბარია დაახლოებით 140 მილიონ დოლარზე, რომელსაც 3 წლის განმავლობაში მიიღებს საქართველო. ამ თანხის ნაწილი ბიუჯეტში ჩაირიცხება, ნაწილი — შეიძლება მოხმარდეს ეროვნული ბანკის რეზერვების გაზრდას.

ჟურნალისტის კითხვაზე, აღნიშნული ბიუჯეტში არსებულ პრობლემაზე ხომ არ მიუთითებს, მინისტრმა განმარტა, რომ ეს არ არის დამატებითი სესხი და მისი აღება ჯერ კიდევ შარშან იყო გათვალისწინებული.

## პატივი მიაგეს დაღუპულ გმირებს

**აფხაზეთში** შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებიდან 22 წლისთავთან დაკავშირებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა.

დღევანდელი დღე არის დღე, რომელიც საქართველოს ისტორიაში დარჩება მარადჟამს. ეს დღე დარჩება არა მარტო იმიტომ, რომ ის აფხაზეთში ომის დაწყების თარიღია, არამედ იმიტომ რომ ჩვენ მსგავსი რამ არ უნდა დავუშვათ. დღევანდელი დღე უნდა იყოს ათვლის წერტილი იმ მშვიდობის გზაზე, რა გზაზეც დადის საქართველო. ომი არავის არ უნდა და ჩვენ უნდა ვიაროთ მშვიდობის გზით. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ამ გზით გამარჯვებას მიაღწევს ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე.

გმირთა მემორიალთან ომში დაღუპული გმირების დედები და აფხაზეთიდან დევნილებიც იმყოფებოდნენ.



ხუმრობის დრო არ არის!

# კარგად წერას რა უნდა?!

**ნაც(იონალ)ები უკვე პათოლოგიურად კომიკურები გახდნენ.**

**აი, თვალსაჩინო მაგალითი:**

**პრემიერმა ამერიკელ სენატორებს საპასუხო წერილი გაუგზავნა.**

**წერილში ერთი არცთუ საგანგაშო უზუსტობა აღმოჩნდა.**

**ალბათ, ვერც ვერავინ შენიშნავდა...ირაკლი ალასანია რომ არა (ისე, საინტერესოა, ალასანიას ვინ შეანიშვნინა)?!**

**„რუსთავი-2“ მორიგ საკბილოს ხელიდან როგორ გაუშვებდა, რა თქმა უნდა, მყისვე მორიგი ინტრიგის ხლართვა დაიწყო.**

**საქმეში, რასაკვირველია, ექსპერტებიც ჩაერთვნენ.**

რა აღარ თქვეს : კახიშვილმა, — თავდაცვის მინისტრმა პრემიერს უხერხულობა შეუქმნაო, ცისკარიშვილმა, — გამორიცხული არ არის, ალასანია წლის ბოლოს ექსპერტთა კლუბის წევრად ვიხილოთო...

ექსპერტების საქმე სწორედ ეს არის, მათ კიდევ შეიძლება, რაიმე ეშველოთ, ნაც(იონალ)ებზე კი ამას ნამდვილად ვეღარ ვიტყვით: მათი კომიკურობა სულ უფრო და უფრო ტრაგიკულ ელფერს იძენს. ამჯერად, ეს გიორგი ბარამიძემ „დაგვიდასტურა:“ აიო, ხომ ვამბობდით, რომ ეს მთავრობა უნიათოა და მთელს მსოფლიოს პრობლემებს უქმნისო(?!)...

თურმე ამერიკელი სენატორებისთვის გაგზავნილ ირაკლი ღარიბაშვილის წერილში დაშვებული უზუსტობა... მთელს მსოფლიოს პრობლემებს უქმნის! - ამაზე კომიკური რაღა უნდა იყოს?!

არადა, თუ ეს მთავრობა მართლა უნიათოა, უპირველესად იმიტომ, რომ გიორგი ბარამიძისთვის დღემდე პასუხი არავის მოუთხოვია.

და მარტო ბარამიძისთვის?!

კი, ნაც(იონალ)ებს აღარაფერი ეშველებათ, მაგრამ ეს მთავრობისთვის დიდი შეღავათი არ უნდა იყოს. ხელისუფლება აუცილებლად უნდა დააფიქროს იმ ფაქტმა, რომ ნაც(იონალ)ებსა და მის ტელევიზიას საკბილოს საკმაოდ ხშირად აწვდის.

უნდა ვაღიარო, რომ სენატორებთან გაგზავნილი წერილი არ მომეწონა. ცხადია, არა ხელოვნურად გაზვიადებულ უზუსტობას, არამედ მის სტილურ სიმწირეს ვგულისხმობ.

ამგვარი წერილები სულ სხვა სტილისტიკით უნდა იწერებოდეს - ზომიერად ესეისტურით, არტისტულით, ემოციურით, ესთეტიკურად დახვეწილით. ტექსტი შეკრული და მთლიანი უნდა იყოს და არა დაშლილი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაზებით შეკოწიწებული. ერთი აბზაცი მეორეს ლოგიკურად უნდა ებმოდეს, ცხადია, არგუმენტაციაც წყალგაუვალი უნდა იყოს...

საუბედუროდ, დღეს საქართველოში ასე უკვე ძალიან ცოტა წერს. მათი პოვნა საერთოდაც ძნელია, არა თუ მთავრობის კანცელარიაში. სამწუხაროდ, იქ არც ეძებენ. წერა-კითხვის მცოდნე, კარგი მოქართულე მწერალთა და ჟურნალისტთა შორისაც სანთლით საძებარია, მით უფრო სატელევიზიო სივრცეში, არადა, ხელისუფლების წარმომადგენლები პრესას არც კითხულობენ, ხანდახან ტელევიზორს თუ შეხედავენ, ისიც ცალი თვალით. ცალი თვალით კი გრიგოლიას, ხოფერიას, რამიშვილს თუ დაინახავენ. მათი წერა — კითხვა კი ... რასაც და რაგვარადაც ისინი ლაპარაკობენ, ის რომ გაშიფრო და გამოაქვეყნო, ქართულ ენაზე წარმოდგენა დაგეკარგებათ. „დიდი მადლობა, რომ მონაწილეობას იღებთ გადაცემაში“ — რომ ჰკითხოთ, აქ ზედმეტი სიტყვა რომელიაო, ვერც გიპასუხებენ, ამიტომაც წამდაუწუმ იმეორებენ. სტილურ დახვეწილობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

პრესაშიც უნუგეშო სურათია: შემიძლია, დავასახელო ცნობილი რედაქტორები, რომელთაც ერთი სტატიაც არ დაუწერიათ...

დიახ, კარგად ძალიან ცოტა წერს.

მთავრობამ ასეთი მაინც უნდა იპოვოს.

ხანდახან ვფიქრობ, ხომ არ გავწირო თავი და საქართველოს პრემიერ-მინისტრს პირდაპირ მივმართო: **ბატონო ირაკლი, თითქმის არაფერი მეხერხება ისე, როგორც ამგვარი ტექსტების წერა. არც თანამდებობას მოგთხოვთ და არც გასამრჯელოს. როცა ასეთი წერილების გაგზავნა დაგჭირდებათ, დამიძახეთ. იქნებ შევძლოთ, რომ ნაც(იონალ)ებსა და მის ტელევიზიას ქილიკისა და ინტრიგის საბაბი აღარ მივცეთ.**

ეს, ცხადია, ხუმრობაა, მაგრამ ხომ ნათქვამია, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარიო...

ხუმრობის დრო კი ნამდვილად არ არის...

**იოსებ ჭუმბურიძე**

**P. S. და აგერ მორიგი „ნაციონალური“ უტიფრობა. „რუსთავი-2“-ის ეკრანზე ამჯერად ზაზა ბიბილაშვილი გამოხტა — ის, ვინც ქართული ეკლესიის დაუღალავი მაგინებელი ნინია კაკაბაძე, ბოლოს და ბოლოს, ნაციონალურ მოძრაობაზე დააქორწინა. ნაცების პოლიტბიუროს ახლად გამომცხვარი წევრი ნაცადი ნაცივით ურცხვად შეეცადა ბიუჯეტის საკუთარ სიამოვნებაზე მხარჯველი ყოფილი პრეზიდენტის გამართლებას. თვით ზვიად გამსახურდიასთან შედარებასაც კი არ მოერიდა — იმასაც „მერსედესში“ ჯდომას აყვედრიდნენო(?!)...**

**მართლაც საიდან სადაო?! ჭეშმარიტად, ენას ძვალი არა აქვს, ნაცებს კი — სინდისი. იმის მაგივრად, რომ კალიგულას შეადარონ (მერე რა, რომ იმან ცხენი შეიყვანა პარლამენტში, ამან კი — საჯაია), მთაწმინდის ბინადარ ეროვნულ გმირს ადარებენ. როგორ უნდა გქონდეს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი. სხვათა შორის, კარგად დავაკვირდი და ბიბილაშვილის შუბლზე ძარღვი საერთოდ ვერ შევნიშნე...**

**ი. ჭ.**

სოფელი

## ამოქმედდება აგროდაზღვევის პროექტი

**სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, ეს არის საპილოტე პროექტი, რომელიც მოიაზრებს მთავრობის მიერ სუბსიდირებას აგრარული დაზღვევის შემთხვევაში.**

— გრძელდება სახელმწიფოს ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის დარგის მიმართულებით. ეს გახლავთ იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც დაიწყო საქართველოს მთავრობამ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია აგროდაზღვევის სისტემის შემოღებაზე, ეს არის საპილოტე პროექტი, რომელიც მოიაზრებს პროცენტის სუბსიდირებას აგრარული დაზღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, ეს ვრცელდება ყველა იმ პროდუქტზე, რომელზეც საქართველოში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სტატისტიკურად იქნა ინფორმაცია მოძიებული. სუბსიდირება ხორციელდება 70%-დან 90%-მდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი 95%-მდე. ამ თანადაფინანსებას, პროცენტის სუბსიდირებას განახორციელებს სახელმწიფო, ხოლო გლეხს ან მომხმარებელს, დამზღვევს ექნება შესაძლებლობა 0,5%-დან გარკვეული შკალების მიხედვით გადაიხადოს დაზღვევის პროცენტი, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

პროექტის პარალელურად მიმდინარეობს კვლევა, რომლის შედეგები სექტემბრის ბოლოსთვის იქნება წარმოდგენილი.

პროექტში ჩართული იქნება ყველა სადაზღვევო კომპანია, ვისაც სურვილი ექნება და გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებს. აგროდაზღვევის კოორდინატორი იქნება პროექტების მართვის სააგენტო. პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარია.



## ყურძნის მოსავლის სავარაუდო რაოდენობა 126 ათას ტონამდე იქნება

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზით, აქედან 96 ათას ტონამდე რქაწითელი და 30 ათას ტონამდე საფერავი მოვა.**

— ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზიდან გამომდინარე, წელს სუბსიდიამ შარშანდელთან შედარებით რქაწითელზე უმნიშვნელოდ შემცირდა და 35 თეთრს, ხოლო გადაჭარბებული მოთხოვნის გამო 1 კგ საფერავზე — 15 თეთრს შეადგენს.

ღვინის კომპანიების მიერ წარმოდგენილი წინასწარი განცხადების თანახმად, მათი მხრიდან ყურძნის გადამუშავებაზე მოთხოვნა რქაწითელზე 60 ათას ტონას, ხოლო საფერავზე — 50 ათას ტონას შეადგენს. სახელმწიფო კომპანიების მიერ სავარაუდოდ გადამუშავდება დაახლოებით 10 ათას ტონამდე რქაწითელი. წინასწარი მონაცემებით, თბილისსა და საქართველოს რაიონებში საკვები ყურძნის სახით ჯამში 29 ათასი ტონამდე რქაწითელი იქნება ათვისებული. გამომდინარე იქიდან, რომ წინასწარი მონაცემებით, რქაწითელზე მოთხოვნა ჯამში 99 ათას ტონამდეა, ხოლო სავარაუდო მოსავალი 96 ათას ტონას შეადგენს, წელს ყურძნის რეალიზაციის პრობლემა მევენახეებს არ შეექმნებათ, — აცხადებენ სამინისტროში.

№162-163. პარასკევი, 15 აგვისტო, 2014 წელი.

# ქარიშხალი ჭიქაში?!

## საქართველო თავად გამოიძიებს, თუ საქმეში ჰააგა ჩაერევა?

**„აგვისტოს ომის გამოძიება ჯერ კიდევ პროცესშია, არ დასრულებულა. მე ინფორმაცია მაქვს ქალბატონი წულუკიანისგან, რომ ეს არის ჩვენი ვალდებულება, გამოძიებულ იქნას ყველა დეტალი, ყველა ნიუანსი. გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, ასე რომ, ჩვენ უნდა დაველოდოთ შედეგებს. არსებობს პირდაპირ მოთხოვნა ჰააგიდან, რომ ჩვენმა სახელმწიფომ გამოიძიოს ომი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად ჰააგა გამოიძიებს ამ ომის ყველა დეტალს და ყველა ნიუანსს“, — განაცხადა საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიება უნდა დაჩქარდეს, რადგან შემდგომ გამოძიება ჰააგის პროკურორს არ მოუწიოს. მინისტრის თქმით, ასეთი საფრთხე არსებობს.**

**როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე აცხადებს, საქართველოს აქვს ვალდებულება, გამოიკვლიოს რა მოხდა 2008 წელს.**

**ამ განცხადებებმა საზოგადოებასა და ოპოზიციაში ათასგვარი ინტერპრეტაცია გამოიწვია, ოპოზიციამ სასწრაფოდ დაჩაგრულის პოზა მიიღო და აცხადებს, რომ გამოძიება საქართველოს დააზარალებს. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის ოპოზიციის განცხადებებს მათი უცხოელი მეგობრებიც უერთდებიან და ამ რეკომენდაციის შესრულებაში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების შურისძიებას ხედავენ წინა ხელისუფლების მიმართ.**

როგორც ევროსასამართლოს ყოფილი მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, თვალსაჩინო იურისტი **მინდია უგრეხელიძე** განმარტავს, ჰააგის სასამართლოს წესდების პრეამბულაში წერია, რომ ამ სასამართლოს მიზანი გახლავთ, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, რომლებიც მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევენ, არ დარჩეს დაუსჯელი.

**„იმისთვის შეიქმნა ჰააგის სასამართლო, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო, რომ იმ შემთხვევებში, თუ ეროვნული მართლმსაჯულება ვერ ან არ გამოიძიებს ასეთ საქმეს, მაშინ თვითონ გააკეთებს იმას, რაც არ, ან ვერ გაკეთა ეროვნულმა მართლმსაჯულებამ“.**

მინდია უგრეხელიძის განმარტებით, თავის დროზე არსებობდა ნიუნბერგის ტრიბუნალი, შემდეგ შეიქმნა ტოკიოს, იუგოსლავიის ტრიბუნალები და ა.შ. შემდეგ — ჰიბრიდული სასამართლო. ბოლოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უკეთესი იქნებოდა, შექმნილიყო ერთი მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც მსგავს საქმეებს აიღებდა საკუთარ თავზე იმ შემთხვევისთვის, თუკი ეროვნული მართლმსაჯულება არ აღმოჩნდებოდა თავის სიმაღლეზე.

ექსპერტი **კახა გოგოლაშვილი** განმარტავს, რომ საუბარია მონიტორული სამართლის ნორმების დარღვევაზე, რომელზეც იყო შენიშვნა ტალიავინის დასკვნაში, რომ შესაძლოა, იყო გამოყენებული მასობრივი განადგურების იარაღი მოსახლეობის წინააღმდეგ.

**„ჩვენს მიმართ ერთადერთი ეპიზოდი იყო ასეთი, ჰუმანური სამართლის შესაძლო დარღვევისა — ცხინვალის მიმართულებით გრადის დანადგარების გამოყენება. რუსეთის ფედერაციის მხრიდან, საუბარია ადამიანების ძარცვა-მკვლელობასა და ეთნიკურ წმენდაზე, თუმცა რუსეთმა თვითონ უნდა გამოიძიოს ეს შემთხვევები. ჩვენც უნდა გამოვიძიოთ, იყო თუ არა გამოყენებული გრადი მოსახლეობის წინააღმდეგ“,** — აცხადებს გოგოლაშვილი.

მისივე განმარტებით, გამოძიების შე-



დეგები თუ არ დააკმაყოფილებს ჰააგის სასამართლოს, მაშინ ისინი გამოიძიებენ დამატებით. გოგოლაშვილი თვლის, რომ რაკი ტალიავინის დასკვნაში იყო ეს შენიშვნა, ხოლო შემდეგ გაეროს ანგარიშში და გამოძიება დაევალა ქვეყნებს, ახლა ავტომატურად ხდება ამისი შეხსენება.

**„სხვა ქვეყნების მაგალითებზე რომ ვიმსჯელოთ, ისრაელის მიმართაც არის უამრავი ასეთი ტიპის დავალება, მაგრამ იქ არაფრის გამოძიება არ ხდება. ჩვენ რაც შეგვეხება, ომის დროს ან მოხდა ასეთი რამ, ან — არა; ან დამტკიცდება იგი, ან — არა, მაგრამ გაერო მოითხოვს, რომ ჩვენ ამოვწუროთ ამ მხრივ ჩვენი შესაძლებლობები. ჩვენ პატარა, სუსტი ქვეყანა ვართ, ისრაელის დონის რესურსი არ გვაქვს და არც ისეთი მხარდაჭერა, როგორიც მას აქვს აშშ-ის მხრიდან. ამ შემთხვევაში ჩვენ რაღაცნაირად უნდა ვგრძნობდეთ თავს ვალდებულად, რომ გამოვიძიოთ და დავეთანხმოთ გაეროს“,** — აცხადებს კახა გოგოლაშვილი.

მინდია უგრეხელიძის განმარტებით, საქართველომ უნდა გააკეთოს ის, რაც შედის ყოველი დამოუკიდებელი ქვეყნის კომპეტენციასა და მოვალეობაში - თუკი სერიოზული ქმედებები არის ჩადენილი და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვიღაცამ ქართველ პოლიტიკურ ლიდერთა შორის გააკეთა ეს, უნდა აღიძრას საქმე, გამოიძიოს, გაასამართლოს და მიუსაჯოს რაც მისაჯელია.

**„თუ ამას ის (საქართველო) ვერ ახერხებს, უნდა მოიქცეს ისე, როგორც მოიქცა, მაგალითად, ბოსნია, კამბოჯა - მოიწვიოს უცხოელი სპეციალისტები, მოსამართლეები და შექმნას ჰიბრიდული სასამართლო, რომელიც დაგვეხმარება. თუ ამასაც ვერ ახერხებ, მაშინ არსებობს ჰააგის სასამართლო და ის მიხედავს იმას, რასაც შენ ვერ აკეთებ. იქ მოქმედებს ე.წ. სუბსიდიურობის, შევსებითობის პრინციპი, რომ ის, რაც ვერ ან არ ქნა ვიღაცამ, ეს ხარვეზი უნდა ამოავსოს ჰააგამ“,** — აცხადებს უგრეხელიძე.

ჰააგის სასამართლოს მიერ აგვისტოს ომის გამოძიების დეტალებს ეხმაურება ნაციონალური მოძრაობაც, მისი ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ბარამიძის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ცდილობს, ყოფილ ქართველ მაღალჩინოსნებს დაუმძიმოს ბრალი, რითიც საბოლოოდ რუსეთი ისარგებლებს. ბარამიძის აზრს იზიარებენ საპარლამენტო უმცირესობის სხვა წევრებიც, რომლებიც მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობენ.

**„არ მესმის, რა საფრთხეზეა საუბარი, ჰააგის სასამართლო არ განიხილავს ქვეყნის პასუხისმგებლობის საკითხს. რა თქმა უნდა, სინანულით აღნიშნავს, რომ იმპოტენტი ერი ყოფილა, რაკი მართლმსაჯულებას ვერ ახორციელებს, მაგრამ ამისთვის კი არ დასჯის, არამედ ეტყვის, მე გავაკეთებ იმას, რაც შენ ვერ მოახერხეო. ეს რას ჰგავს დაახლოებით იცით? — კაცი რომ გარდაიცვლება, ოჯახმა ხომ უნდა დაასაფლავოს, ეს ხომ მისთვის სავალდებულო პროცედურაა, მაგრამ თუ არ დაასაფლავებს, მაშინ მეზობელი მიხედავს“,** — განმარტავს მინდია უგრეხელიძე.

იხ. 4 გვ.

ღია წერილი

## საქართველო ყველგან საქართველოდ უნდა იწოდებოდეს!

### ალუდგინეთ ჩვენს ქვეყანას თავისი ისტორიული სახელი!

**გავკადნიერდი და თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი აზრით, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის გამო ღია წერილით მოგმართოთ თქვენ ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, ბატონო პრემიერ-მინისტრო და ქალბატონო იუსტიციის მინისტრო.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 2 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი: „სხვა საქართველო სად არის?!, ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე!“ ამას მოჰყვა ჩემი კიდევ ერთი წერილი „დიახ, „საქართველო“ არის ესე!“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 20 ივნისი 2014 წ.) და თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეთა, სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის 14 ღირსეული წევრის განცხადება (გაზ. საქართველო და მსოფლიო“, 2014 წლის 16 ივლისი), რომელთაც მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ საქართველოს მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს თავისი კუთვნილი და ღირსეული საკუთარი სახელი „საქართველო“ და ისტორიას ჩაბარდეს მისი უკანონო ისეთი სახელები, როგორებიცაა „გრუზია“, „გურჯისტანი“, „ჯორჯია“, „ვრასტანი“ და ა.შ.**

**იმის გამო, რომ პრობლემა მრავალწახნაგოვანია და ვერანაირი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს მისი ყველა ასპექტის განხილვას, დაბეჯითებით გთხოვთ, წერილობით მაცნობოთ თქვენი პოზიცია და მოსაზრება ამ უმნიშვნელოვანეს თემასთან დაკავშირებით. საჭიროდ და გამართლებულად თუ ჩათვლით, მზად გახლავართ, ნებისმიერი ფორმატით ვითანამშრომლო თქვენთან, რათა, აღსდგეს სრულიად საქართველოს დიდი ხნის ოცნება.**

**იმედია, არც თქვენთვის იქნება მიუღებელი საკითხის ამგვარად დასმა და მხარსაც დაუჭერთ მას.**

**ეს კი, მერწმუნეთ, სრულიად საქართველოს ქართველი მოსახლეობის ნანატრი ოცნების აღსრულება იქნება.**

**ულრმესი პატივისცემით**
**ანზორ ბაბუხადია.**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● მაღალი წნევის დროს ფეხები ცხელ წყალში რომ ჩავყო, რეცეპტი უნდა მქონდეს?**

**● სიდარბაისლით, სიძლიერით სახელგანთქმულმა, კეთილშობილმა ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა „იმედის“ ეთერში, რომ პრეზიდენტყოფილს მხოლოდ მდაბიო ადამიანები უყენებენ ბრალდებებს, მის პირად ხარჯებთან დაკავშირებით და ამით სახელმწიფო ძლიერების შერყევას ცდილობენ. აბა რამდენი შემრყევი ხართ, გამოდით, დაგთვალოთ!**

**● ოთო კახიძემ თქვა, ზუსტად მაგ ქაშმირის პალტოს გამოყვა ათასობით ტურისტიო.**

**ყველაზე მეტად სა(ექს)პრეზიდენტო ხარჯებიდან, მომეწონა: „ქობალიას მშობლების, ასევე მისი დის ნინო ქობალიას სამგზავრო ბილეთების შესაძენად, — 38 000 ლარი“(!) ოცდათვრამეტი ათასი ლარი რომ მქონდეს, ნელი ნაბიჯებით წავიდოდი ქობალიას მშობლებისკენ (ასევე მისი დისკენ)...**

**● კარგად მახსოვს, მიშა სააკაშვილმა, თავისი საპრეზიდენტო მოღვაწეობა ისეთი ფარსით დაიწყო, რომ მეტი არ შეიძლება! ის ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქვეყანაში სამგზავრო თვითმფრინავით ჩაფრინდა და ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო მასპინძელი ქვეყნის მთავრობა.**

**აი, შემდეგ კი „აიჭრა“ და თურმე ბიუჯეტიდან აფინანსებდა პერუში ვერტმფრენით სეირნობის, პიზაში ველოსიპედებით სეირნობის, ვერა ქობალიას ოჯახის წევრების მოგზაურობის, მთავრობის წევრების „ფერარებით“ „კატაობის“, თავისთვის ტანსაცმლისა (უხდებოდეს მაინც რაიმე!) და საათების შეძენის, გაურკვეველი წარმომავლობის სტუმრების რესტორნებისა და სასტუმროს ხარჯებს!**

**ეს რომ ნაცმოძრაობამ გაიგო, ასეთი კომენტარი გააკეთა, აბა, სხვა პირველი პირების ხარჯებს შეადარეთო. კი, მაგრამ სხვა ქვეყნებში 120 ლარია პენსია? სხვა ქვეყნებში ნაგავში იქექება ხალხი? სხვა ქვეყნებშიც ასე ატყავებდა ხალხს მთავრობა? სხვა ქვეყნებშიც დაჰყავს პრეზიდენტს ბებია ვიზიტებზე? და თუნდაც ასე იყოს, მერე, ჩვენ რა?**

**მიშას საგრიალოდ გვიმუშავია ბოლო 10 წელი!**

**● ფრანგებმა რომ კანონი მიიღეს, ვინც თურქების მიერ სომხების გენოციდს არ აღიარებს, სერიოზული ჯარიმები და „სროკიც“ კი ემუქრება! სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ პარლამენტში, რაიმე ასეთი ხომ არ მიეღოთ ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდთან დაკავშირებით?**

**● ო, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა უბედურების ზარმა!**

**დოქტორ დოტის ნაკბენივით წამოვხტი, მიხოსა და მისი რაზმის ბიუჯეტის ყვლეფის ამბავი რომ გვამცნო პროკურატურამ, არადა, 7 ნოემბერი, 26 მაისი, მკვლელობები, გაუპატიურებები, ქონების ახევები კიდევ შეიძლებოდა ბრაიზას და მაკკეინს „ეპრავებინათ“, მარა იმ ჩეკებს, რასაც ბორდელები, სასტუმროები, ფიტნეს კლუბები და საფირმო მაღაზიები იძლევიან, ვეღარსად წაუვლენ. ალკაპონეც თავის დროზე მკვლელობებზე კი არა, საგადასახადო გადაცდომებზე ხეხავდა ციხეს და იქვე აღმოხდა სული.**

**● მაპატიეთ ჩემი მერკანტელური განცხადებისთვის, მაგრამ პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ „სითი პარკი“ სულ ცალ ფეხზე მკიდია.!**

**მე და, ალბათ, მოსახლეობის დიდ ნაწილს საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ძირითადად ავტობუსები) და მისი კანტრალიორები უფრო გვაწუხებს!**

**დავიჯერო ამ ფეისბუკზე მარტო მე დავდივარ ავტობუსით (თუ ასეა, როცა გაჩერებაზე მდგომს დამინახავთ, ხანდახან გამიყოლეთ ხოლმე პლიიიზზ (მოკრძალებული ღიმილის სმაილიკი)?**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

აქტუალური თემა

# ქარიშხალი ჭიქაში?!



(მესამე გვერდიდან)

საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს ბევრმა თავადვე გასცა პასუხი და უკვე ძნელია, გაარკვიო, რეალურად რაზეა საუბარი. ბევრის აზრით, ამით ხელისუფლება ცდილობს, შეასრულოს დაკვეთა მოსკოვიდან, იწვევს პროკურორებს, რომლებიც მაღალჩინოსნების დაჭერაში და ჰააგის სასამართლოზე გადაცემაში არიან გამოცდილები და ა.შ.

მინდია უგრეხელიძის შეფასებით, ეს ხმაური გამოიწვია იმან, რომ საქართველოში სამართლებრივი კულტურა არ არის მაღალ დონეზე, რადგან არ ხდება მისი პროპაგანდა.

**„მარტო სტუდენტებთან მუშაობა არ არის საკმარისი. ქართველი ერი ჩამოყალიბდა, როგორც ზერელე, ზედაპირული ერი. იმპრესიონიზმი მხატვრობაში კარგია, მაგრამ აზროვნებაში არ ვარგა, თან ყველაფერს იწუნებენ „მუსტაფას ვირივით“, ყველაფერზე ეჭვს გამოთქვამენ, სხედან სამზარეულოში, ეწევიან სიგარეტს და ვიღაც მოცლილი ქალები ახდენენ ამ სოციალური ქსელის შევსებას. იმას, რაც აქ ხდება, ვერ ნახავთ ვერც ერთ ცივილიზებულ საზოგადოებაში. გაცნობიერებულობის ხარისხია ძალიან დაბალი — ეს ხალხის ბრალი არ არის - ხალხი უნდა გაანათლო, უნდა ელაპარაკო. იაფფასიანი შოუები კი არ უნდა აჩვენო ტელევიზიით, საინტერესო, შემეცნებითი გადაცმები უნდა გააკეთო. თვითონ რომ ირქმევს ექსპერტს, ის კი არ უნდა გამოიყვანო, როდესაც საქმე იურიდიულ საკითხებს ეხება, რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვის განათლებით არაიურისტი?! ერთადერთი, ზურაბ ჟვანია მახსოვს არაიურისტი, რომელსაც შეცდომა არ დაუშვია იურიდიულ საკითხებზე საუბრის დროს, იმიტომ, რომ წიგნთან იყო ნამუშევარი. ასე კორიდორში გამორბენით არ შეიძლება ასეთ თემებზე საუბარი — ეს სერიოზული დარგია“, —** აცხადებს მინდია უგრეხელიძე.

კახა გოგოლაშვილის შეფასებით, აურზაური იმან გამოიწვია, რომ ზედაპირული კომენტარები გაკეთდა — კომენტარები უნდა იყოს ძალიან ზუსტი, რომ ათასგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდეს.

**„იმდენი კომენტარი გაკეთდა, ამას მიება კიდევ ათასი რაღაც. ზოგმა თქვა, რომ შეცდომა იყო ომის დაწყება, ზოგმა თქვა, რომ დანაშაულები ჩაიდინა წინა რეჟიმმა, ამას კიდევ სხვა რაღაც მოჰყვა და ახლა კაციშვილმა აღარ იცის, რეალურად რაზეა ლაპარაკი. არადა ძალზე, კონკრეტულ რამეზეა საუბარი — დაირღვა თუ არა ჰუმანური სამართალი და რა მუხლები დაირღვა“,** — აცხადებს გოგოლაშვილი.

ამ თემასთან დაკავშირებით არა მხოლოდ პოლიტიკოსთა, არამედ ექსპერტთა აზრიც იყოფა — ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე თვლის, რომ ამ ყველაფერმა შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ქვეყნის დასავლურ პერსპექტივას. მისივე შეფასებით, საკითხავია ეს ვის ინტერესებს ემსახურება.

**„საქართველოს ინტერესებს რომ არა, ეს ნამდვილად ვიცი. მგონია, რომ ეს ყველაფერი ცარიელ ჭიქაში ქარიშხალია და ჰააგას ტყუილად იყენებენ საბაბად, თავისი ყოვლადაუხსნელი ქმედების გასამართლებლად. რეალურად, რუსეთმა დაიპყრო საქართველო და არა პირიქით და ნებისმიერი სხვა მანიპულაცია ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ინტერესს არ ემსახურება, ვის ინტერესებს ემსახურება, განსაჯოს მკითხველმა“, —** აცხადებს ლაგაზიძე.

ლაგაზიძე ფიქრობს, რომ თუკი სააკაშვილი დადანაშაულდება, ავტომატურად ჩაითვლება, რომ საქართველომ დაიწყო ომი.

ხათუნა ლაგაზიძე: **„ისტორია განსჯის ქვეყანას, რომელიც ასეთ ხელისუფლებას შობს და ქვეყანას აღარ ექნება აღარანაირი პერსპექტივა. იმ ხელისუფლებას თავისი განაჩენი ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა. სამაგიეროდ, ეს ქვეყნის განაჩენი იქნება. თუკი ცდილობ, დაამტკიცო, რომ შენი ქვეყანა არის აგრესორი, ათასობით ადამიანის დამბომბველი, ამ ქვეყნის სართაშორისო პერსპექტივა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ და არა სააკაშვილის“.**

პრინციპში, საინტერესოა, თუ ჰააგის სასამართლო დაადასტურებს რომელიმე მაღალჩინოსნის დანაშაულს, საქართველო, როგორც ქვეყანა, რა დოზით დაზარალდება? ამაზე კი მინდია უგრეხელიძე აცხადებს, რომ მას, როგორც კონკრეტულ პიროვნებას, ძალიან ეწყინება თავისი ქვეყნის პრეზიდენტის, ან სხვა მაღალჩინოსნის დამნაშავედ ცნობა.

მინდია უგრეხელიძე: **„მე არ მინდა ვიყო იმ ქვეყნის შვილი, რომლის პრეზიდენტი დამნაშავედ არის ცნობილი — ეს ელემენტარულია, მაგრამ ის, რომ რაიმე სანქციები დააკისრონ საქართველოს, ან მსგავსი რამ მოხდეს, ეს არ შეიძლება, რადგან აქ არის მეორე საკითხი - უნდა მოხდეს განწმენდა, თუ არ მოხდა დანაშაულთან ბრძოლა, დანაშაულის შეფასება მორალურად, პოლიტიკურად და იურიდიულად, ის ისევ განმეორდება. ამიტომ, ჰააგის სასამართლოს ამოცანა არის, ებრძოლოს დაუსჯელობას. საქართველოს რაც შეეხება, ეს თან წაადგება, თან — არა. წაადგება იმ მხრივ, რომ სხვა აღარ ჩაიდენს მსგავს რამეს, არ წაადგება იმით, რომ რად მინდა იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომლის პრეზიდენტის საკითხსაც საერთაშორისო სასამართლო განიხილავს“.**

ლალი ზირაქიშვილი

ციფრები და ფაქტები განსჯისთვის

# უყვარდათ ჯიგრებს დროსტარება და გრიალებდნენ კიდეც!

## „ნაციონალური მოძრაობის“ „სვეტების“ დუბაიში ყოფნისას გადაღებული ერთ-ერთი ფოტო




**პროკურატურის** ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის გასაიდუმლოებული ხარჯებით კობა ნაყოფიას, გოგა ხაჩიძის, ნუგზარ წიკლაურის, გიორგი გაბაშვილის, სერგო რატიანის, პეტრე ცისკარიშვილის, ლევან ვარშალომიძის, გიორგი არველაძის საზღვარგარეთ სასტუმროების მომსახურებაში გადახდილია 88 919 ლარი; მარიამ საჯაიას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ქ. ბათუმში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 342 ლარი; ალანა გაგლოევას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 401 ლარი.

**მიხეილ სააკაშვილმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი.**

მიხეილ სააკაშვილის და თეიმურაზ ჯანაშიას მიმართ გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

**„უკან დაგვრჩება ბაკურიანი, სიმღერა და თოვლში გრიალი..“**

**ერთხელ მაინც გექნებათ მოსმენილი გასული საუკუნის 70–იანი წლების ეს ერთი კარგი სიმღერა.**

**თქვენც უკან დაგჩრებათ ეს გრიალი, ჯიგრებო, როცა...**

# რამდენი „ნაღირება“ ნაცებისთვის ოთო კახიძე თვეში?

**ექსპრეზიდენტ** მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა, ოთარ კახიძემ ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის პერიოდში 143, 797 ლარი მიიღო. მას იუსტიციის სამინისტროში ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა ეკავა.

იუსტიციის სამინისტროს ამ ყოფილი მაღალჩინოსნის დეკლარაცია მწირი ინფორმაციით გამოირჩევა. თუმცა, სხვადასხვა დროს თანამდებობიდან მიღებულ შემოსავალს მაინც მიუთითებს. მაშ ასე.

ოთარ კახიძემ იუსტიციის სამინისტროში მუშაობისას, 2010 წელს - 25 200 ლარი მიიღო.

2011 წელს — 58 000 ლარი, 2012 წელს კი მისი შემოსავალი 60 597 ლარს გაუტოლდა. ანუ იუსტიციის სამინისტროს ამ ყოფილმა მაღალჩინოსანმა სამ წელიწადში, შემოსავლის სახით, თანამდებობიდან 143 797 ლარი მიიღო.

ანუ თვეში საშუალოდ 4 ათას ლარზე მეტი.



ალიანჩალიანი

# დავით ნარმანია 112-ს ესტუმრა

**როგორც** „ინტერპრესნიუსს“ 112-ის პრესსამსახურიდან აცნობეს, ცენტრის მუშაობის სპეციფიკა მერს 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა გააცნო.

დავით ნარმანიასა და გიორგი ბიჭაშვილის შეხვედრის მთავარი თემები თბილისში, სასწრაფოს ბრიგადების დამატების საჭიროებასა და სახანძრო-სამაშველო გამოძახებებზე სერვისის გაუმჯობესებას შეეხებოდა.

შეხვედრაზე 112-ის წარმომადგენლებმა დავით ნარმანიას, პრეზენტაციის სახით, ცენტრში განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები გააცნეს. მხარეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტსა და მერიას შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებიც განიხილეს.

სტუმრებმა 112-ის ქოლ ცენტრი დაათვალიერეს და დააკვირდნენ სამუშაო პროცესს. დავით ნარმანია ოპერატორების მუშაობის პირობებითაც დაინტერესდა. ყურადღება გამახვილდა გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ერთ ნომერზე დარეკვით ყველა საგანგებო სამსახურთან დაკავშირება მაქსიმალურად მოკლე დროში ხდება. შეხვედრის დასასრულს 112-ის დირექტორმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.



## კლინიკური მედიცინის ლოგიკა

# იქნებ ახლაც არ წვიმს ისე, როგორც ქუხს?

## რეცეპტების ინსტიტუტის ამოქმედება პრობლემებს არ შექმნის

**როცა რეცეპტებით გასაცემი წამლების სიის ნუსხაში „ნიმესილი“ მოხვდა, ამან საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია. რატომღაც, ბევრი მომხმარებელი მიიჩნევს, რომ მისით თვითნებური მკურნალობა ძალიან ხელსაყრელია. მაგრამ წამლების რეგულირების სააგენტოს ფარმაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი პროფესორი ნიკო გონგაძე გვარწმუნებს, რომ „ნიმესილის“ უკონტროლო ქრონიკულმა გამოყენებამ შესაძლოა ღვიძლის დაზიანებამდე და ფატალურ შედეგამდეც მიგვიყვანოს: „მე მაქვს ევროპის წამალთა სააგენტოს დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ „ნიმესულიდი“ ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მხოლოდ რეცეპტით გაიცემა, — აცხადებს პროფესორი, — ხოლო აშშ-ის წამლის სააგენტოს მონაცემებით, ეს პრეპარატი შტატებში მარკეტინგს არ ექვემდებარება. „ნიმესულიდი“, ისევე როგორც სხვა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატი, იგივე ასპირინის ჯგუფის პრეპარატია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუკი მას რაციონალურად გამოიყენებენ“.**

ვინაიდან, „ნიმესილს“ საკმაოდ მძიმე გვერდითი მოვლენები ახლავს, სპეციალისტებმა მისი რეცეპტით გაცემის გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად მიიღეს. როგორც განვითარებული ქვეყნების ფარმაცევტები აღნიშნავენ, ის მიეკუთვნება მეორე რიგის პრეპარატს, ანუ ის არის სარეზერვო მედიკამენტი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი ბაზისური პრეპარატები ამოიწურება. მისი გამოყენება არ შეიძლება ორ კვირაზე მეტ ხანს. როგორც ნიკო გონგაძე ამბობს: **„საქართველოში, სამწუხაროდ, მას იყენებენ ნებისმიერი სახის ტკივილის დროს, რადგან სწრაფად აყუჩებს ტკივილს. მაგრამ არც ერთ ფარმაცევტს არ აქვს მყარი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ უნდა გამოიყენოს ავადმყოფმა მაინცდამაინც „ნიმესულიდი“, როდესაც არის ბევრი სხვა პრეპარატი, რომელიც ეფექტიანობით მას არ ჩამორჩება, ამავე დროს ღვიძლს ნაკლებად აზიანებს“.**

რეცეპტების ინსტიტუტის აღდგენის ცნობას მოსახლეობა დიდად კეთილგანწყობილი როდი შეხვდა. განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია ფარმაცევტული კომპანიებიდან მიღებულმა მესიჯებმა შემდეგი სახის ტექსტით: **„საქართველოს კანონმდებლობით 1 სექტემბრიდან იკრძალება წამლის რეცეპტის გარეშე გაცემა. დაიჭირეთ თადარიგი! ისარგებლეთ ჩვენი ქსელის ფასდაკლების დღეებით!“**

ბუნებრივია, ასეთმა „გაფრთხილებამ“ მომხმარებელი დააფრთხო, თუმცა, ჯანდაცვის მინისტრმა არაერთხელ განაცხადა, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს და არც პრეპარატების წინასწარი მომარაგებაა მიზანშეწონილი.

წელიწადში ერთხელ ჯანმრთელი თუ ავადმყოფი ადამიანი, ვალდებულია, ექიმს გაესინჯოს და მისგან კონსულტაცია მიიღოს. მით უმეტეს, რომ 1 სექტემბრიდან პაციენტს აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება, საკუთარი სურვილის მიხედვით შეუძლია მიმართოს ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც მისი მომსახურების ხარჯებს სახელმწიფო დააფინანსებს. ეს მოიცავს ელემენტარულ საბაზისო სერვისს: ექიმის კონსულტაციას, სისხლის საერთო ანალიზს, აუცილებლობის შემთხვევაში — ექოსკოპიას...

ამდენად, როცა ეს სიცოცხლისთვის აუცილებელი პროცედურები სავალდებულო ხდება, პირიქით, მოსახლეობა ამ ფაქტს სიხარულით უნდა შეხვედროდა, მაგრამ ხდება კი პირიქით.

**„რეცეპტებით მედიკამენტების გაცემა აუცილებელია ორი ძირითადი რისკის გამო,** — აღნიშნა დავით სერგეენკომ, **— მედიკამენტების გამოყენების გამო, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. რეცეპტების ინსტიტუტზე მუშაობა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა როგორც სამედიცინო, ისე ფარმაკოლოგიის სფეროს წარმომადგენლებთან.“.**

* * *

**რა ხდება მაშინ, თუკი ადამიანი უეცრად გახდება ცუდად?**

ასეთი შემთხვევისთვის ყველა აფთიაქში იქნება გადაუდებელი დახმარების ნაკრები. **„ურეცეპტო გაყიდვაში რჩება 3 300-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი, ხოლო ყველა აფთიაქში იქნება გადაუდებელი მედიკამენტების სპეციალური ჩამონათვალი, რომელიც უეცრად გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შემთხვევაში, სანამ ადამიანი ექიმთან მივა, შეეძლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძინოს“,** — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.

რას ნიშნავს წამლის კატეგორიებად დაყოფა? — როგორც სერგეენკო ამბობს **„ნებისმიერ მედიკამენტს თავისი თერაპიული მოქმედება და გვერდითი მოვლენები აქვს, მეორე და მესამე ჯგუფებად დაყოფის ერთ-ერთი მთავარი ლოგიკა სწორედ ეს იყო. თუ ექიმის მიერ არ იქნა შერჩეული ესა თუ ის პრეპარატი, ის მოიცავს მაღალ რისკს“.**



სექტემბრიდან ურეცეპტოდ აღარ გაიცემა II ჯგუფის მედიკამენტები: საძილე და სედაციური საშუალებები (გარდა მცენარეული პრეპარატებისა), ანტიდეპრესანტები, კორტიკოსტეროიდები სისტემური გამოყენებისთვის, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები, იმუნომოდულატორები, მიკრობების საწინააღმდეგო, პარკინსონიზმის საწინააღმდეგო, ანტიჰისტამინური საინექციო პრეპარატები, საგულე გლიკოზიდები, ანტიარითმული და ანტიჰიპერტენზული პრეპარატები, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები და საინექციო საშუალებები.

**ამ ჩამონათვალში მოხვდა: ნოვოკაინი, მაქსიგანი, კეტონალი, პრესტანსი, ლევომიცეტინი, დექსამეტაზონი, ვოლტარენი, გლუკოზა, რინგერი, ვეროშპირონი, კაპტოპრილი, ტეტრაციკლინი, სინტომიცინი, კლოფელინი, ნატრიუმ ქლორიდი, ამპიცილინი, ერითრომიცინი...**

**ურეცეპტოდ გასაცემი წამლების ნუსხა საკმაოდ მოცულობითია და, როგორც აღვნიშნეთ, 3 ათასზე მეტ პრეპარატს მოიცავს. ესენია კუჭ-ნაწლავის სამკურნალო, ნაწლავის მიკროფლორის მარეგულირებელი საშუალებები, ვიტამინები და მინერალები (გარდა საინექციო ხსნარებისა), ანტიაგრეგანტები (თრომბო აცც, ასპირინი, კარდიო, კარდიომაგნილი და სხვა), პერიფერიული სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელი საშუალებები, ანგიოპროტექტორები, მთელი რიგი ანალგეზიური, სიცხის დამწევი, ანთების საწინააღმდეგო და ამოსახველებელი საშუალებები, ჰისტამინური რეცეპტორების ბლოკატორები (ერიუსი, ალერფასტი, კეტოტიფენი, ტავეგილი), ანემიის საწინააღმდეგო საშაულებები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები და სხვა.**

ყველაზე მეტად ღელავენ ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტები, მაგრამ მათთვის შემოდის ხანგრძლივი, ერთწლიანი მოქმედების რეცეპტი და ერთხელ გამოწერის შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში შეეძლებათ, შეიძინონ ეს წამალი, ამიტომ მათაც პრობლემები არ შეექმნებათ: **„ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტი ისედაც უნდა მივიდეს ექიმთან წელიწადში ერთხელ“,** — ამბობს ჯანდაცვის მინისტრი.

II ჯგუფის მედიკამენტების რეცეპტურის ინსტიტუტის ამოქმედების ფარგლებში დამტკიცდა რეცეპტის გამოწერის წესი და ბლანკის ფორმა №3. რეცეპტის ბლანკები ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. „რეცეპტების ბლანკი დანომრილია და შედგება A, B და C განყოფილებისგან. B და C განყოფილება ექვსნაწილიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია ექიმის მიერ გამოწერილი რაოდენობა პაციენტმა შეიძინოს 6-ჯერადად აფთიაქებში ვიზიტის ფარგლებში. **„ექსტრემალურ ვითარებაში ფორმა №3 რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების ერთჯერადი დოზებით, ურეცეპტოდ გაცემის მიზანშეწონილობას ადგენს აფთიაქის შესაბამისი უფლებამოსილი პირი“,** — ნათქვამია ჯანდაცვის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში. როგორ უნდა შეივსოს B და C განყოფილება აფთიაქში და ვინ ავსებს მას? რეცეპტი ივსება აფთიაქში რეალიზაციაზე უფლებამოსილი პირის მიერ. რეცეპტის B განყოფილების თითოეული ნაწილი უნდა დამოწმდეს ამ დაწესებულების ბეჭდით. რეცეპტის C განყოფილებაში მიეთითება პროდუქტის სავაჭრო დასახელება. C განყოფილებაში შევსებულ უჯრას იტოვებს აფთიაქი, ხოლო განყოფილება B რჩება რეცეპტის ძირითად A ნაწილთან ერთად.

**დაახლოებით ასეთი სიახლეები და ცვლილებები ელოდება მოსახლეობას სექტემბრიდან. რამდენად კომფორტული იქნება ჯანდაცვის სერვისი მოსახლეობისთვის, დრო გამოაჩენს. პრაქტიკაში თანდათან ცხადი გახდება ის ნაკლოვანებები, რაც ერთი შეხედვით, ამ ერთობ კარგ პროგრამას აქვს.**

**სერგეენკო კი დარწმუნებულია, რომ ყველა დეტალი გათვლილია და საფრთხე არავის არ ემუქრება. მით უმეტეს, ამ ქმედებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააძვიროს წამალი: „ვარწმუნებ მოსახლეობას, რომ არავითარი რისკები არ არის. არ შემიძლია, გაკვირვება და განცვიფრება არ გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ცინიკური დამოკიდებულება გამოხატეს. გარწმუნებთ, ეს ძალიან სერიოზული თემაა. ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ იმისთვის, რომ სისტემა დაგვებრუნებინა ნორმალური კლინიკური მედიცინის ლოგიკისათვის!“, — დასძენს მინისტრი.**

**თეა მოსია**

### ინფორმაცია თემაში

**დავით სერგეენკო:**

**„ტრაგედია ის არის, რომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა საერთოდ დაკარგა ექიმის ნდობა და მიაჩნია, რომ შეუძლია, თავად მოუაროს საკუთარ თავს. ყველაზე მთავარი პრობლემა ეს არის, რომელიც უნდა გადაიჭრას. რაც შეეხება „შავი ბაზრის“ სტიმულირებას, ამით ეს რისკები არ იქმნება. ექიმის დანიშნულების გარეშე პრეპარატების დამოუკიდებლად მიღება ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის“.**

## „ცოტნეობა- 2014“



გიორგი გეგეჭკორის ნახატი

# დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის

**ხობი — ცოტნეს ადგილის დედა, კვლავაც ღირსეულად შეეგება საეკლესიო-ეროვნულ დღესასწაულს „ცოტნეობა-2014“-ს. ამ დღეს აღინიშნა დიდგორობა და ეს დამთხვევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მარადიული ერთიანობის ნიშანია.**

დიდი ზეიმი ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან დაიწყო. მთელი დღე დატვირთული იყო სხვადასხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებებით, განსაკუთრებით ტრადიციული სახეობების წარმოჩენით. მეგრულ ფაცხებში იღებდნენ სტუმრებს ყოველი კუთხიდან. კოლხური ფოლკლორის ყოფისა და რეწვის ნიმუშების, ნახატების, წიგნების გამოფენა-გაყიდვა იზიდავდა მნახველს.

ასეთი ხალხმრავლობა ჯერ არ გვინახავს, ეტყობა, ხობის ახალი ხელმძღვანელობა (გოჩა ქაჯაია, ედიშერ ჯობავა), განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული ღირებულებების, ქვეყნის, კუთხის ისტორიის წარმოჩენას. დიდი შთაბეჭდილებები დატოვა თეატრალიზებულმა სანახაობამ „პატარა საქართველოს დიდი რაინდული გული“.

სტუმარ-მასპინძელთ მიესალმნენ ხობის გამგებელი გოჩა ქაჯაია, წარმატებული ბიზნესმენი და პარლამენტარი გოდერძი ბუკია, რომელმაც, როგორც ყოველთვის, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ღონისძიების ფინანსურ უზრუნველყოფაში. დღესასწაულზე სიტყვით გამოვიდა „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ნუგზარ ნადარაია, რომელმაც ცოტნე აღმსარებლის მოოქროვილ-მოვერცხლილი ხატი გადასცა გიორგი ჩიტაიას, ალეკო დოლბაიას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟს — კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც „ფაზისის“ აკადემიის მოწვევით ჩამობრძანდა ზეიმზე.

ღონისძიებაზე ითქვა, რომ მომავალ წელს ნუგზარ ნადარაიას 70 წლის იუბილე განსაკუთრებულად აღინიშნება „ცოტნეობის“ დღესასწაულზე, რამეთუ მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ხობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ცოტნე დადიანისა და დიდი დავით აღმაშენებლის აღმზრდელის გიორგი ჭყონდიდელი-ბედიას წმინდანად აღიარების, ცოტნეობის დღესასწაულის დამკვიდრებისა და ტრადიციად ქცევის საქმეში.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა თსუს ანსაბლი „გორდელა“ დედაქალაქიდან, თურქეთიდან მოწვეული იყო „ჩვენებურების“ ცნობილი მომღერალი ბაიარ შაჰინი, ასევე თავიანთი ხელოვნება წარმოაჩინეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

ყველაზე უფრო დღეს გვჭირდება ცოტნეს სიმამაცე და ზნეობრივი გმირობა, ქვეყნისათვის, მეგობრისთვის თავგანწირვა და არა ღალატი, დაყოფა, ჩაშვება, რაც ამჟამად არცთუ იშვითად გვხვდება. სამეგრელომ უნდა იამაყოს, რომ ის არის ქუჯი ეგრისელის, ცოტნე დადიანისა და ჟიული შარტავას მხარე, მან კვლავაც თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს გაერთიანების საქმეში.

და ბოლოს, „ცოტნეობამ“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეს არის დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა!

**ზურაბ აბრალავა,**
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ

№162-163. პარასკევი, 15 აგვისტო, 2014 წელი.

# ე. + ნ.

*სოფიკო შევარდნაძე თავისი ბებიისა და ბაბუის, აგრეთვე დასაწყისისა და დასასრულის და სამი წუთის შესახებ, რომლებმაც შეცვალეს ოჯახის მსვლელობა და გახდნენ შემობრუნების წერტილი ქვეყნის ისტორიაში.*



ედუარდ და ნანული შევარდნაძეები

**„ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისგან განსხვავებით, ეს მისალმება მესამე პირში უნდა დავწერო. მოულოდნელად მივხვდი, თუ რამხელა უპირატესობა აქვთ მათ ჩემთან შედარებით, ისინი ხომ იმისი სისხლი და ხორცი არიან. იმათ ძარღვებში მისი სისხლი ჩქეფს, ისინი მის გენებს ატარებენ. ისინი მისი ცხოვრების წამონაზარდები არიან, იმათ რომ ეჯეჯილათ, ფეხზე მყარად დამდგარიყვნენ და ებრწყინათ, მე ჩემი საკუთარი სიცოცხლე შევწირე. არა, სულაც არ მშურს მე მათი. პირიქით, მიხარია, რომ ჩემს შვილებსა და შვილიშვილებში მე ვხედავ მათი მამის, მათი ბაბუის თავისებურებებსა და ხასიათის ნიშნებს. უსაზღვროდ ამაყი ვარ“.**

**ნანულის წერილიდან თავისი ქმრის ედუარდისადმი, რომელშიც ის იმას 70 წლისთავს ულოცავს.**

## დასაწყისის შესახებ

უნდა ვიცოდეთ, რომ ნანული მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურის ოჯახში დაიბადა და მამის საყვარელი ქალიშვილი იყო. სამი შვილიდან ის უმცროსი იყო. მას ძალიან უყვარდა თავისი მზიური ბინა გორში, სადაც ავეჯი წითელი პლუშით იყო გაწყობილი. ნანული იგონებდა, რომ შვიდი წლის ასაკში ერთ მშვენიერ დილას მან გაიღვიძა და პირველად დაინახა თავისი მამა უქამროდ — თითქოს შიშველი დაენახოს. „დაიძინე, შვილო“, — დაამშვიდა ის მამამ, რომელსაც იგი უკვე ველარასდეს ვეღარ ნახავს. როდესაც ნანული ეზოში გამოვიდა, ბავშვები გაიქცნენ, მხოლოდ ერთმა გოგონამ უთხრა: „შენ და მე თუ ვითამაშებთ, ჩვენს მამებსაც დააპატიმრებენ“. რამდენიმე დღის შემდეგ დედამ უთხრა: „ცოლებსაც აპატიმრებენ“. ამის შემდეგ დედა და სამი პატარა ბავშვი დასავლეთ საქართველოში დაეხეტებოდნენ ერთი ჩემოდნით, გადადიოდნენ ერთი მატარებლიდან მეორეში, რომ არ დაეჭირათ. მალე გამოვიდა ახალი ბრძანება: „ცოლებს ხელი არ ახლოთ“, და, როგორც იქნა, ისინი დაბრუნდნენ თავიანთ ბინაში გორში. როდესაც სახლში შევიდა, ნანულიმ დაინახა, როგორი სიხარულით დახტოდა იმის პლუშის დივანზე უცნობი ბიჭი, ამიტომ იმათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ წასულიყვნენ ბიძასთან თბილისში და ოთხს ეცხოვრა ერთ პატარა ოთახში იმის ბინაზე. იმათმა დედამ ის იყო დაიწყო მუშაობა, რომ ტუბერკულოზი შეეყარა.

ცხოვრების მომავალი ათი წელი მიეძღვნა იმას, რომ დედა ცოცხალი დარჩენილიყო. უფროსი ძმა კიტა სამხედრო ექიმად მუშაობდა და მთელ ხელფასს ოჯახს უგზავნიდა. უფროსი და დოდო ყოველთვის მოწყენილი იყო და დუმდა და, როგორც შემდეგ გაირკვა, იმას თურმე შიზოფრენია აწუხებდა.

ჩვიდმეტი წლის ნანულის უკვე ჰქონდა ძლიერი ნებისყოფა, გამძლეობა და პათოლოგიურად იყო ამაყი. დედა უკვე აღარ მუშაობდა, და მთელი დღეების განმავლობაში იჯდა ეზოში და სვიტრებს ქსოვდა გასაყიდად. ერთხელ, როდესაც გვერდით მიუჯდა, ნანულიმ პირველად დაინახა, თუ დედამ როგორ ამოიღო ბამბის გორგალი და დაიწყო იმაში სისხლის ჩახველება. დედის ერთადერთი სურვილი იყო ეცოცხლა იმ დღემდე, როდესაც ნანული თვრამეტი წლისა გახდებოდა. და ზუსტად ამ ასაკში ნანული ლიტონი ობოლი გახდა.

ორმოცდაათი წლის გვიან შემოდგომაზე უკვე ოცდაერთი წლისა იყო. ამ წელს ყველაფერი, რასაც ძმა აგზავნიდა, აგრეთვე საკუთარი სტიპენდია, გადაწყვიტეს, რომ დაეხარჯათ დოდოს დასვენებაზე. სული რომ არ ამოხდომოდათ გახურებულ თბილისში, ნანული მოეწყო პიონერხელმძღვანელად ბორჯომის ხეობაში. ის დღე, როდესაც ნანული მეგობრებთან ერთად ელოდა მატარებელს ბავშვებით, არაფრით განსხვავდებოდა ყველა დანარჩენისგან. როგორც კი მატარებელი გაჩერდა, იქიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა და იმის გვერდით დადგა. უნებლიეთ იმათ ერთმანეთს შეხედეს და ასევე უნებლიეთ გაიღიმეს. „ღმერთო ჩემო, როგორი მზიური ღიმილია“, — და როგორც იმასთან მოგვიანებით ალიარებდა ედუარდი, იმანაც იგივე გაიფიქრა. „გამარჯობათ!“ — დაბალი ხმით თქვა იმან, და ეს იყო ახალი ცხოვრების განთიადი, რისი არსებობის შესახებაც ადრე ეჭვიც არ ჰქონია ნანულის. ერთ მშვენიერ დღეს ედუარდმა გადაწყვიტა იმისი გაცილება, და ნანულიც, ცოტა შიშით, დათანხმდა. ისინი ოღროჩოღრო გზაზე აღმოჩნდნენ, სადაც ედუარდმა სთხოვა, რომ ხელს გაუყრიდა. გოგონამ აბსოლუტურად გულწრფელად, პრანჭვის ყოველგვარი ნიშნის გარეშე, შეიცხადა: „რას ამბობთ! ხელს მე პირველად გამიყრის ჩემი ქმარი“... მეორე დღეს გოგონა უკვე მშვიდად დათანხმდა, რომ ედუარდს გაეცილებინა იგი სახლში. შეკითხვაზე: „ხომ არ გადაიფიქრეთ, შემიძლია გაგიყაროთ მკლავი?“ — მან ასევე გულწრფელად უპასუხა: „რახან უკვე მეორე დღეა ვსეირნობ თქვენთან ერთად, განა არ გესმით, თუ რა ხდება აქ?“ ასე გადიოდა დრო. „სად სწავლობთ?“ — შეეკითხა იგი ერთხელ ისე, რომ თავადაც არ ესმოდა, რატომ დაინტერესდა ამით ასე გვიან. „უმაღლეს პარტიულ სკოლაში“, — მშვიდად უპასუხა ედუარდმა. „ესე იგი თქვენ პარტიული მუშაკი იქნებით?“ — „დიახ“, — მტკიცედ თქვა მან. ნანულის ფერი დაეკარგა და სთხოვა, დაუყოვნებლივ გაეცილებინა სახლში. „რა მოგივიდა?!“ მოულოდნელად „შენობით“ მიმართა ედუარდმა და ხელი მოჰკიდა იმის გახურებულ ხელს. „ალბათ, იფიქრა, ცხელი ვარ იმიტომ, რომ ჭლექი მჭირს“ — გაუელვა ნანულის თავში. „არა, ყველაფერი კარგადაა, წამიყვანე სახლში, ხვალ ყველაფერს გეტყვი“. ნანულის მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, თეთრად გაათენა. შიშითა და გამოუვალობის გრძნობით უთხრა მეორე დღეს:

— მოიცადე, ხომ იცი, რომ მე ობოლი ვარ.

— ვიცი, — თქვა მან.

— შენ ხომ იცი, რომ მე ისეთი ობოლი არა ვარ.

— ობოლი ობოლია, — უთხრა მან და მხრები აიჩეჩა. — განა ეს რაიმე ნაკლოვანებაა?

— მამაჩემი... ჩემი მამა, — შეეშინდა არ ატირებულიყო.

— რა მამაშენი!

აქ ნანულიმ ძალები მოიკრიბა:

— იცი რა? მამაჩემი — მეტად წესიერი, ერთგული და მამაცი ადამიანი დააპატიმრეს და დახვრიტეს. თუ ჩვენ ახლა ვიქორწინებთ, შენი კარიერის დასასრული იქნება. არ მინდა, მე ამის მიზეზი ვიყო და დაგაკარგვინო მომავალი. არ მეწყინება: ნებისმიერ შემთხვევაში დამნაშავე მე ვარ — ეს ადრე უნდა მეთქვა შენთვის. რატომღაც მეგონა, რომ შენ ისტორიულზე სწავლობდი.

ღრმა დუმილი ჩამოწვა. იმათ მაღლიდან დიდი მთვარე დასცქეროდა.

— წყალსაც წაუღია კარიერა! ფიქრობ, რომ სიყვარულს კარიერაზე გავცვლი? მამამ თბილისში თოთხმეტი წლისა გამომგზავნა, რომ ექიმი გამოვსულიყავი. აი, იმას გაეხარდება! — უპასუხა ედუარდმა და შვებით ამოისუნთქა. როგორც ნანული მოგვიანებით იხსენებდა, იმ ღამეს შესრულდა თვითშეწირვის რიტუალი.





## დასასრულის შესახებ

ედუარდს და ნანულის ჰყავდათ მოზრდილი შვილები და შვილიშვილები. ედუარდმა მართლაც დაამთავრა უმაღლესი პარტიული სკოლა და უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ეკავა ყველაზე მაღალი ხელმძღვანელის პოსტები. ნანულიმ კი მოასწრო ყოფილიყო უზარმაზარი იმპერიის საკვანძო მინისტრის მეუღლე და პატარა ქვეყნის პირველი ლედი. ედუარდი მიიჩნევდა, რომ პატარა გლეხის ბიჭისთვის, რომელიც მერვე კლასამდე ფეხშიშველა დარბოდა სკოლაში, იცოცხლა სავსებით საკმარისად სრულფასოვანი ცხოვრებით.

რთული, მაგრამ საკარიერო კიბეზე მტკიცე წინსვლის შემდეგ ედუარდი ითვლიდა პრეზიდენტობის უკანასკნელ დღეებს, იმ პატარა ქვეყნის პრეზიდენტობისა, რომელსაც სათავეში ედგა თორმეტზე მეტი წლის წინათ. გარეთ ნოემბერი იდგა, და ქალაქი სავსე იყო აბობოქრებული ხალხით, რომელიც მის გადადგომას მოითხოვდა. ედუარდმა უკვე დაკარგა გასაოცარი მომხიბლაობა — ძნელია იმის თქმა, იყო ეს ასაკის ბრალი თუ ხშირი თავდასხმები სიცოცხლეზე, მაგრამ წარსულის ნაშთები მკაფიოდ დარჩა იმის კეთილშობილურად გამოკვეთილ მობერებულ სახეზე. ნანული მთელი ამ ხნის განმავლობაში მორჩილად, ნებაყოფლობით, თავისი უბრალო ქალური ბედნიერების საზიანოდ, მაგრამ სწორედ ძლიერი სიყვარულის სახელით, უქმნიდა ედუარდს მაქსიმალურად მარტივ ცხოვრებას. და, როგორც თვითონ ამბობდა, იმისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი მომენტები დგებოდა მაშინ, როდესაც ირკვეოდა, რომ ქმარი მორიგი თავდასხმის შემდეგ კვლავ ცოცხალია. თავის მხრივ, ედუარდი, როგორც არცთუ ბევრი მამაკაცი, არასოდეს საყვედურობდა ნანულის, იმისი ქრონიკულ-გამოგონილი თუ რეალური ავადმყოფობების გამო და სიტყვაც არ დასცდენია უფროსი ცოლისდის დოდოს მისამართით, რომელიც თითქმის ბოლომდე ცხოვრობდა ნანულისთან და მხოლოდ დოდოს გარდაცვალების

შემდეგ აღიარა ედუარდმა სიძესთან, რომ ახალგაზრდობაში ღამღამობით დგებოდა ხოლმე და დახედავდა, ხომ ყველაფერი რიგზე იყო ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებსაც გვერდით ოთახში ეძინათ.

იმ დღეებში, როდესაც ქუჩებში რევოლუცია გაჩაღდა, ედუარდის მზერიდან გამოსჭვიოდა რწმენა, და ის განდგომილი გეჩვენებოდათ: იქნებ, განვითარებული სულიერებისაგან, რაც ხშირად მოდის სიბერეში, ან იქნებ ვაკუუმის გამაყრუებელი დუმილისგან, რომელშიც მან თავისი თავი მოიქცია უკანასკნელ პერიოდში. ნანული კი, რომელიც მხოლოდ იმას ხედავდა, თუ როგორ ლინჩით ასამართლებდნენ იმათ, ვისაც მთლიანად მიუძღვნა სიცოცხლე, უკვე წელიწადი იყო, რაც გადაწყვიტა, რომ არ სურს საუბარი, სიარული და, რაც ყველაზე მეტად აოგნებდა ყველას, ჭამა არ უნდოდა. ნანულის, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ეშინოდა შიმშილისა და სიღარიბის, ებრძოდა ზედმეტ წონას და უკვე არასოდეს შეეძლო ეთქვა უარი პატარა ფენოვან პეროგსა და კარაქიან პატარა ყველის ნაჭერზე. 23 ნოემბრის საღამოს ედუარდი მოვიდა სახლში, სადაც ნანული და ოჯახის რამდენიმე წევრი ელოდებოდა. ამ დღეს საკითხი კატეგორიულად იყო დასმული: გამოიყენოს ძალა დემონსტრანტების მიმართ თუ არა. ის სახლში მივიდა დაბნეული და დამარცხებული: იმ დღეს პროტესტის მონაწილეებმა შტურმით აიღეს პარლამენტის შენობა, სადაც ის სიტყვით გამოდიოდა. ნანული, რომელმაც სამოცი კილო დაიკლო, ფირუზისფერი ხალათით შეხვდა ქმარს თავის ეტლში და წყნარად წარმოთქვა: „განა შენ სისხლს დაღვრი?“

იმავე საღამოს მეზობელ რეზიდენციაში ედუარდი შეხვდა ხალხს, რომელიც იმის გადადგომას მოითხოვდა. ხალხის ჯგუფი უკვე იდგა სახლის კართან, სადაც დარჩენილი იყვნენ ნანული და ოჯახის სხვა წევრები. დაცვის უფროსმა თქვა, რომ ჩაექროთ შუქი, აეკრიფათ ყოველივე აუცილებელი და მომზადებულიყვნენ ევაკუაციისთვის. ნანული, ჩაცმული ქურქში და ლამაზი ხილაბანდით, თავისი ეტლით ჩაიყვანეს კიბეზე. ცენტრალური ტელევიზიით აჩვენებდნენ უზარმაზარ თვითმფრინავს და ამბობდნენ, რომ შევარდნაძის ოჯახის წევრები უკვე თვითმფრინავში არიან, რათა ქვეყნიდან გაფრინდნენ. როდესაც ნანულის უყურებდნენ, ვერავინ, გარშემომყოფთაგან, ვერ ბედავდა პანიკას. ყველა ჩაცმული იჯდა და რაღაცას ელოდებოდა. დამახასიათებელი ოლიმპიური სიმშვიდით, რაც მუდამ თან სდევდა მორიგი აპოკალიფსის დროს, ნანულიმ ითხოვა დაერეკათ ედუარდისთვის. სახეზე ერთი კუნთიც არ შესტოკებია.

— ჩემო ძვირფასო, შენ ხომ ორი წელია გამიწყალე გული შენი „უნდა გადავდგე, უნდა გადავდგეო“. დღეს რაღას გაჯიუტდი? — და სახეზე მსუბუქი ღიმილი გაუჩნდა.

სამი წუთის შემდეგ ნანულის და ოჯახის წევრებს აცნობეს, რომ ედუარდი გადადგა. კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ ედუარდი დაბრუნდა ნანულისთან, რომელიც ამტკიცებდა, ეს ყველაზე ბედნიერი დღეა, იმიტომ, რომ ედუარდი ახლა სულ სახლში იქნება და მთელ დროს მე მომიძღვნისო. პასუხად ედუარდმა იმისგან მიიღო დაპირება, რომ გამოჯანსაღდებოდა და კვლავ დაიწყებდა სიარულს. „გპირდები“, — მტკიცედ თქვა ნანულიმ. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ის მართლაც წამოდგა და გაიარა, როგორც დაჰპირდა.

ნანულის 75 წლისთავზე ედუარდმა ქაღალდის ფურცელზე დაწერა რამდენიმე ფრაზა და ჩანაწერი იმის საფლავზე მიიტანა. პატრიარქ ილია მეორისადმი თხოვნის თანახმად, ნანული მათივე სახლის ეზოში დაკრძალეს.

„ჩემო ნანული... უშენოდ ცხოვრება მიუწვდომელი გმირობა გამოდგა... გილოცავ დაბადების დღეს, საყვარელო! შენი ედუარდი“.

**სოფიკო შევარდნაძე.**

РУССКИЙ КЛУБ

ⓞ კვალი საუკუნეში

# დიდი ნაღვაწი არა კვდება...



**ორმოცი** დღე შესრულდა, რაც ზეციურ საქართველოში სული დაივანა მსოფლიო პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა ედუარდ შევარდნაძემ. ჩვენ, მისი თანამედროვენი და თანამემამულენი, ამაყნი ვიყავით იმ დღეებში, როდესაც შეგვეძლო მცირედი წვლილით გვერდში დავდგომოდით მას, რათა მონაწილეობა მიგველო ახალი საქართველოს მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე საპატიოდ დამკვიდრებაში და ამაყი ვიყავით მაშინაც, როდესაც მის სულს პატივი მიაგეს არამარტო თანამემამულეებმა, არამედ მსოფლიო პოლიტიკის გრანდებმა.

ედუარდ შევარდნაძე ჭეშმარიტად დიდი მეოცესაუკუნელი იყო. მას საოცარი პრინციპულობით, სიმტკიცით, უშრეტი ენერგიით, ხშირად თავისი პირადულის დათმობითაც შეეძლო ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მომავალში წაადგებოდა მისი სამშობლოს წინსვლას. მაშინ, როდესაც დგახარ ბობოქარ პერიპეტიების ტალღებთან შეჭიდებული ხომალდის საჭესთან, რომელსაც არამარტო შენი, არამედ მსოფლიო საზოგადოების ბედის განსაზღვრა შეუძლია, ძნელია გაუაზრებელი გადაწყვეტილებების მიღება. სწორედ ამის გაანალიზება, განჭვრეტა, ზოგჯერ ბევრისათვის იმ მომენტში მიუღებული გადაწყვეტილების მიღება შეეძლო ბატონ ედუარდს და უმეტეს შემთხვევაში ეს ამართლებდა კიდეც.

ასეთი პოლიტიკოსები მართლაც თითზე ჩამოსათვლელნი არიან მსოფლიო პოლიტიკის არეალზე და სწორედ ასეთ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის იგი. ამ უდავოდ რთული ისტორიული პიროვნების უდავოდ რთული ცხოვრება ასევე უდავოდ ურთულეს საუკუნეში, რასაკვირველია, ერთმნიშვნელოვნად ვერ შეფასდება, მაგრამ, თუ ისტორიული პიროვნება იმ ავისა და კარგის მიხედვით უნდა შეფასდეს, რა ავი და კარგიც მან ამქვეყნად დატოვა, მაშინ, ალბათ, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ისტორიის სასწორზე ედუარდ შევარდნაძის ღვაწლის შეფასებისას ავს უთუოდ კარგი გადასწონის. ეს კარგი, რომელიც ავის გადამწონელია, ხშირად ძალზე მოგვიანებით გამოჩნდება ხოლმე. ამიტომაც დიდი ადამიანების საქმის შეფასება-დანახვას წლები სჭირდება. ხშირად საუკუნეებიც. მაგრამ ის, რასაც თვალნათლივ ვხედავთ, საკმარისია ითქვას, რომ დიდი ადამიანი წავიდა, რომელსაც საქართველო ბედნიერი მომავლისაკენ თავისებური წინასწარ აწონილ-გააზრებული, ბრძნულად გათვლილი გზით მიჰყავდა.

ამიტომაც ედუარდ შევარდნაძე საერთაშორისო პოლიტიკის, საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო და ღირსეულ წარმომადგენლად, დიდ მეოცესაუკუნელ ქართველად დარჩება ისტორიაში.

**სევერიანე, ნიკო, შალვა ცაგარეიშვილები**








# სამხრეთი კავკასია და მსოფლიოს პრობლემები

**რამდენიმე დღის წინათ საინფორმაციო სააგენტო რეგნუმმა (REGNUM) ინტერვიუ აიღო კავკასიის საკითხებში მკვლევართან, ჟურნალისტთან თომას დე ვალესთან. განიხილეს არა მარტო აზერბაიჯან-სომხეთის სასაზღვრო კონფლიქტი, არამედ უკრაინასთან და რუსეთთან დაკავშირებული მოვლენები, აგრეთვე დასავლეთის მიდგომა ამ საკითხებისადმი.**

ინტერვიუში გაჟღერებული თემები არახალია. რახანია მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს მთიანი ყარაბახის საკითხი. ის, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული დღემდე, იმ გადაუჭრელ პრობლემათა შორისაა, რომლის მოგვარებას ალბათ დღევანდელი აზერბაიჯან-სომხეთის პოლიტიკოსთა თაობა ვერ გადაწყვეტს და არასასურველ ესტაფეტასავით მომავალ თაობას გადაულოცავს. ერთადერთი, რასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ომის შედეგად სომხეთის მიერ ოკუპირებული ზოგიერთი ტერიტორიების აზერბაიჯანისთვის დაბრუნება იქნება.

ბოდიშს მოვითხოვ როგორც აზერბაიჯანელი, ისე სომეხი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების წინაშე, მაგრამ ორი ქვეყნის გაჭიანურებული პრობლემების მოწესრიგება ამ ეტაპზე არარეალურად მესახება. როგორც ჩანს, დროა საჭირო ომით გამოწვეული იარების მოშუშებისთვის, ახალი აზროვნების ჩამოყალიბებისთვის, კონფლიქტის ახალი თვალით შეხედვისთვის.

ვისურვებდი, რომ ანალოგიური ვითარება ყოფილიყო საქართველო-აფხაზეთსა და საქართველო-სამხრეთ ოსეთს შორის, მაგრამ დღეს, რაღა, ამ ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობის მე-6 წლისთავზე?

დღეს, რაც არ უნდა ვიწუწუნოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის შესახებ და ამ ოკუპაციის დასავლეთის მიერ აღიარების თაობაზე, წართმეულს არავინ დაგვიბრუნებს. დაბრუნება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ რუსეთი, დასავლური სანქციებით დაძაბუნებული და დაშლის პირას მყოფი, ხელს აიღებს მითვისებულზე. ასეთი პერსპექტივა კი არ ჩანს.

ომს და ომით გამოწვეულ უბედურებას გაცილებით სჯობდა გაუთავებელი მოლაპარაკებები. ომმა წერტილი დაუსვა განდეგილი ავტონომიების შემობრუნებას.

ყარაბახის თემა სერიოზულია, ვინაიდან არა მარტო ყარაბახს ეხება, არამედ სხვა სომხურ ტერიტორიებსაც, რომელთა ჭეშმარიტ სომხურობას რახანია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები და ისტორიკოსები. 1998 წელს, ჰეიდარ ალიევმა გამოსცა ბრძანებულება „აზერბაიჯანელთა გენოციდის შესახებ“, სადაც არა მარტო მთიანი ყარაბახი, არამედ მთელი სომხეთის ტერიტორია აზერბაიჯანულადაა წარმოჩენილი.

„თურქული წარმომავლობის ეთნოსი — ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებში ცხოვრობდნენ თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე. ერევნის სახანოს განსაკუთრებული ადგილი ეკავა დანარჩენ აზერბაიჯანულ სახანოთა შორის“ —აღნიშნულია „დასავლეთ აზერბაიჯანის ისტორიული გეოგრაფიის წიგნში“. „დასავლეთ აზერბაიჯანი“ სწორედ ის ტერიტორიაა, რომელიც დღევანდელ სომხეთს უკავია.

2007 წელს ილჰამ ალიევმა საჯაროდ განაცხადა, რომ „დღევანდელი სომხეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის მიწებზე. 1918 წელს, როდესაც შეიქმნა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, მან აჩუქა ქ.ერევანი სომხეთს. ერევნის სახანო აზერბაიჯანის ისტორიული მიწაა. ვიმეორებ, სომხები მოვიდნენ ამ მიწაზე, როგორც სტუმრები“.

არ შევუდგები მოგვიანებით გაკეთებული განცხადებების ჩამოთვლას და მათზე სომეხი პოლიტიკოს-ექსპერტობის გესლიან პასუხებს. ვიტყვი იმას, რომ პრობლემა სერიოზულია და მის მოგვარებას არა ერთი წელიწადი შეელევა. ასე რომ რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ინიციატივით ქ.სოჭში გამართული პუტინ-ალიევ-სარგსიანის მოლაპარაკებით მთიანი ყარაბახის საკითხი ვერ მოგვარდებოდა. ერთი რამ, რაც სოჭმა გააკეთა, ისაა, რომ საშუალება მისცა ორ პრეზიდენტს, კარგა ხნის პაუზის შემდეგ, შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ცხადია, ცალ-ცალკე შეხვედრების დროს პუტინი შეეცდებოდა იმის გაგებას, თუ როგორ აფასებენ აზერბაიჯან-სომხეთი რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს. აქვე უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანი რახანია იხილავს რუსეთს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს. ის არც ნატოსკენ ისწრაფვის და არც ევროკავშირისკენ.

ოფიოციალური ბაქო არ აცხადებს, რომ სურს საბაჟო კავშირში შესვლა. მას დასავლეთ-აღმოსავლეთის ქიშპში ნეიტრალური პოზიცია უკავია. უფრო მეტიც, ის სასტიკად აკრიტიკებს დასავლეთს, როდესაც ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ აზერბაიჯანი არ მიდის დემოკრატიული განვითარების გზით. აზერბაიჯანი მზადაა, ხილით და სხვა პროდუქტებით მოამარაგოს რუსეთი. დასავლურმა ანტირუსულმა სანქციებმა მას საკუთარი პროდუქციის გასაღების დიდი შანსი მისცა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკა-ევროკავშირის მიერ დაწესებულმა ანტირუსულმა სანქციებმა ბუმერანგივით იმოქმედეს მათზე. რუსეთმა თვით დააწესა ანტისანქციები, რითაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამერიკა-ევროპის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ექსპერტების მიხედვით, ევროკავშირის ზარალმა 12 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. განსაკუთრებული კრიზისია შექმნილი პოლონეთში, ნორვეგიაში, ბალტიისპირა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ფინეთში.

პოლონეთი და სამი ბალტიისპირა ქვეყანა დაბეჯითებით მოითხოვდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას. რომ იტყვიან, ისინი თავიანთ ანკესს წამოეგნენ. მათ ისღა დარჩენიათ კომპენსაცია სთხოვონ ბრიუსელს. ისიც მზად არის ამისთვის, ოღონდ ნაცვლად 12 მილიარდისა, მხოლოდ 400 მილიონის გაღება შეუძლია. პოლონეთმა, სანქციების ინიციატორ აშშ-ს მიმართეს — შეისყიდოს პოლონური ვაშლები. პასუხი ასეთია — თვით პოლონელებმა მოაგვარონ პრობლემა — ბევრი ვაშლი ჭამონ.



რუსული ემბარგო ისეთ უკმაყოფილებას იწვევს ევროკავშირში, რომელიც უდავოდ გადაიზრდება პოლიტიკურში, ანუ მთავრობის ნდობა-არნდობაში. და ყოველივე ეს ხდება უკრაინის გამო. ღირს კია დღევანდელი უკრაინა ამდენ დავიდარაბად?

რომ არ ღირდეს, ამერიკა მილიარდებს არ ჩაყრიდა უკრაინულ საქმეში. აშშ-ს აყოლილი ევროკავშირის პოლიტიკა იძულებით ნაბიჯებს დგამს, რაც სერიოზულად აზიანებს არა ამერიკას, არამედ მათ ინტერესებს. **ცნობილი ფაქტია, რომ ნეონაცისტური უკრაინით აშშ ცდილობს რუსეთის წელში გადატეხვას, სერიოზული კონკურენტის გზიდან ჩამოშორებას.**

უკრაინასთან მიმართებაში როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი, რომ აშშ-ის გული მოიგოს? ასეთი გზის ან ხერხის გამოძებნა შეუძლებელია, ვინაიდან ყველა და ყველაფერი მიუღებელი იქნება ვაშინგტონისთვის.

რახანია ომი მიმდინარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში და ეს ომი გაცილებით სასტიკია, ვიდრე ღაზის სექტორის წინააღმდეგ წამოწყებული ომი. ისრაელის ომმა მიწასთან გაასწორა ღაზის სექტორი, მისი ინფრასტრუქტურა, უკვე 1500-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.

ანალოგიური, თუ უფრო უარესი არა, არის დონეცკისა და ლუგანსკის ტერიტორიებზე, ერთის სხვაობით — ნგრევის მასშტაბები გაცილებით დიდია, ვიდრე პალესტინაში.

რახანია რუსეთი მოითხოვს ცეცხლის შეწყვეტას და საკამათო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას, მაგრამ ამაოდ. რახანია რუსეთი მოითხოვს დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობის ჰუმანიტარული ტვირთით და მედიკამენტებით მომარაგებას, მაგრამ ამაოდ. აშშ, დიდი ბრიტანეთი და გერმანია თვლიან, რომ ეს რეგიონები უზრუნველყოფილია ჰუმანიტარული დახმარებით. არის თუ არა ეს ცინიზმი?

როდესაც თვეზე მეტია ლუგანსკში არ არის ელექტროენერგია და წყალი, რა ჰუმანიტარულ დახმარებაზეა ლაპარაკი? და როდესაც რუსეთმა, „საერთაშორისო წითელ ჯვართან“ ერთად გადაწყვიტა ამგვარი დახმარების გაწევა, უმალ გამოხდა ნატოს გენერალური მდივანი რასმუსენი და თქვა, რომ რუსეთის მიერ ჰუმანიტარული დახმარების გაწევა ნიშნავს ომში ჩართვას.

დასავლეთი, რომელიც არა მარტო იარაღით, არამედ ფინანსებით და სამხედრო სპეციალისტებით ეხმარება კიევის ხელისუფლებას, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ რუსეთმა მედიკამენტებიც არ მიაწოდოს დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობას.

უკრაინის არმია გეგმაზომიერად ანადგურებს აღმოსავლეთ უკრაინის ინფრასტრუქტურას, საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, საზოგადო თავშეყრის შენობა-ნაგებობებს, რითაც თავისთავად აცხადებს, რომ კიევს თავისუფალი ტერიტორიები უნდა, ყოველგვარი რუსის გარეშე, ანუ ძირძველი მოსახლეობის გარეშე. და ყოველივე ამას დასავლეთი მოთმინებით უყურებს, რუსეთს არ აძლევს იმის შესაძლებლობასაც კი მედიკამენტებით გაუწიოს დახმარება რუსული წარმოშობის ადამიანებს.

ჩანს, აშშ-მა და ევროკავშირმა გადაწყვიტეს რუსეთის საბოლოო იზოლაცია, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. ეკონომიკური სანქციების ნაყოფს უკვე იმკიან, რაც შეეხება სამხედროს — აქაც ვერ აქვთ კარგად საქმე. აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს გაფართოების საკითხი სერიოზულ ბარიერებს აწყდება.

სულ ახლახან ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გერმანიის მოსახლეობის 74% წინააღმდეგია ნატოს მუდმივი ბაზების შექმნისა პოლონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში. აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ალიანსის გაძლიერებას მხოლოდ მოსახლეობის 18% დაუჭირა მხარი. მას არ სჯერა პოლიტიკოსების მიერ თითიდან გამოწოვილი „რუსული აგრესიის“.

ნატოს მომავალი, სექტემბრის სამიტის მასპინძელმა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა კემერონმა წერილობით მიმართა ნატოს წევრ სახელმწიფოებს, რომელშიც ის ითხოვს კონსოლიდაციას აღმოსავლეთ ევროპაში მოსალოდნელი რუსული „აგრესიის“ საწინააღმდეგოდ.

კემერონი თვლის, რომ რუსეთი, ნატოს, მოწინააღმდეგედ მოიხსენიებს (საინტერესოა, სხვაგვარად როგორ უნდა მოიხსენიოს?) და რახან ასეა, ის სთავაზობს ნატოს ერთობლივი წვრთნების ახალ გრაფიკს, ლოჯისტიკის, თავდაცვის პროგრამის, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას და მასში ნატოს მეგობარი ქვეყნების ჩართვას. ამასთანავე „სწრაფი რეაგირების ძალების“ 25000-მდე გაზრდას. და ეს ყველაფერი — უკრაინაში რუსეთის არაკანონიერი ქმედების წინააღმდეგ.

კემერონის აზრით, უელსის სამიტზე (4-5 სექტემბერი) ყველას უნდა ჰქონდეს წინადადება აღმოსავლეთ უკრაინაში მყარი სამხედრო პოზიციის შესაქმნელად. ამ პოზიციით დიდი ბრიტანეთი მხარს უმშვენებს რუსეთის წინააღმდეგ შემართულ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა პოლონეთი, რუმინეთი, ბალტიისპირა ქვეყნები.

რუსეთის წინააღმდეგ ნატოს სამხედრო „მუშტის“ დისლოკაციის ადგილიც გამოინახა, პოლონეთის ქ.შეცინი. სწორედ ეს ქალაქი უმასპინძლებს ნატოს ახალ ბაზას.

კემერონის წინადადება სულაც არ არის ახალი. რახანია აშშ ითხოვს თავისი მოკავშირეებისგან მსგავსი „შემაკავებელი“ ძალის ჩამოყალიბებას, რაც ევროპის ქვეყნებს - შენახვის თვალსაზრისით, ძვირი დაუჯდებათ. ევროპის ქვეყნებმა თავიანთ ბიუჯეტში უნდა გაზარდონ ხარჯები, ბაზის შესანახად.

ნატოს მომავალი სამიტის პროგრამის კონტურები ნათლად ისახება — რუსული აგრესიის შეკავებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს გაძლიერება. „სწრაფი რეაგირების“ 25000-იან კონტიგენტში მეგობარი ქვეყნების სამხედროების გამოყენება და სხვა.

სწორედ ამ პუნქტში გაიხარებს ალასანია, ვინაიდან რახანია თავდავიწყებით ლობირებს პროექტში საქართველოს მონაწილეობას. მას ნაკლებად ადარდებს შედეგი, რომელიც შესაძლოა, ერთობ სავალალო გამოდგეს საქართველოსთვის. ალასანია რახანია ითხოვს საჰაერო თავდაცვის იარაღს, მაგრამ, რა რაოდენობის და სიმძლავრის უნდა იყოს ის (იარაღი), არ აკონკრეტებს. ანდა როგორ დააკონკრეტებს, როდესაც რუსულ შეიარაღებასთან გვაქვს საქმე?

რამდენი და რა სახის იარაღი აღუდგება რუსულ საჰაერო შემოტევას, იცის ვინმემ? თუ იციან, ალბათ ისე, როგორც 2008 წლის ომამდე, როდესაც ზოგიერთი თავგახურებული სამხედრო როსტოვამდე ჩასვლას აპირებდა და ამას ღია სატელევიზიო ეთერში აცხადებდა.

ზემოთ ნახსენებ ინტერვიუში არის ასეთი კითხვა: „ამერიკა და ევროპა დაინტერესებულები არიან, რომ კავკასიაში კვლავ დაიწყოს ომი, რამეთუ რუსეთს, რომელსაც დიდი პრობლემები აქვს შექმნილი უკრაინის მხრიდან, ანალოგიური შეექმნას კავკასიაშიც, რაც დიდი დარტყმა იქნება რუსეთისთვის, ვინაიდან ის (ომი) თავისთავად განვითარდება ჩრდილო კავკასიაში“?



რესპონდენტი ნეგატიურად პასუხობს — მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## დედამიწის ზურგზე



**კუბამ ფიდელ კასტროს 88-ე დაბადების დღე აღნიშნა მილოცვებით პრესაში, საზეიმო კონცერტითა და ფოტოგამოფენით**

ოთხშაბათს, 13 აგვისტოს კუბის რევოლუციის ბელადს 88 წელი შეუსრულდა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინათ მან დატოვა სახელმწიფო პოსტები, იგი ძველებურად სარგებლობს პოპულარობით ხალხში და გამოთქვამს თავის აზრს მსოფლიოში ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ადგილობრივი პრესის მეშვეობით.

* * *

**აზიას კატასტროფა ემუქრება: მყინვარებმა ტიბეტში მაქსიმალურ ტემპერატურას მიაღწიეს უკანასკნელი ორი ათასწლეულის განმავლობაში**



ტიბეტის პლატო, რომლის მყინვარებიც წყლით ამარაგებს აზიის მილიონობით მცხოვრებს, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში უფრო მეტად გახურდა, ვიდრე ოდესმე უკანასკნელი ორი ათასი წლის განმავლობაში. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება და გამოიწვევს მყინვარების უკან დახევას და მიწის გაუდაბნოებას.

* * *

**მხოლოდ მარცხენა ხელით: ბელფასტში პილოტმა შეძლო, დაესვა სამგზავრო თვითმფრინავი, თუმცა, დაჯდომამდე მოულოდნელად დაკარგა თავისი ხელოვნური ხელი**



თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც ბირმინჰემიდან ბელფასტში მიფრინავდა, 47 მგზავრი იყო. თვითმფრინავის დაფრენამდე ძლიერი ქარის პირობებში პილოტს მოეხსნა ხელოვნური ხელი მოულოდნელად. მან მაინც შეძლო, გამოერთო ავტოპილოტი და განეხორციელებინა დაჯდომა ხელით. არც ერთი მგზავრი არ დაზარალებულა, მიუხედავად იმისა, რომ დაჯდომა არც ძალიან მსუბუქი აღმოჩნდა.

* * *

**ისრაელმა და „ჰამასმა“ მოილაპარაკეს, გააგრძელონ მორიგება კიდევ ხუთი დღით, მაგრამ სარაკეტო სროლები გრძელდება**

ამ დროს გამოიყენებენ მოლაპარაკების გაგრძელებისათვის მხარეებს შორის ხანგრძლივი მშიდობის დასამყარებლად. არანაირი ოფიციალური განცხადება ისრაელის მხრიდან შერიგების ხუთი დღით გაგრძელების შესახებ არ მოჰყოლია.



## მართალს ვიტყვი

# ნუ ღადაობთ, კანონმდებელო!

### შეხვედრა ლევან ბერძენიშვილთან 14 წლის შემდეგ, ისევ საყვედურით...



ჩემი ბედისა რა ვთქვი: კლასიკური ფილოლოგიის ცნობილ სპეციალისტს, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, გვარიანად მჭევრმეტყველ ლევან ბერძენიშვილს, ცხოვრებაში სულ ორჯერ ვხვდები და ორჯერვე სასაყვედუროდ.

საქმე ის არის, რომ ამ მჭერმეტყველებისას პატივცემული ლევანი ხშირად დაუკრეფავში გადადის, რაც არც არავის მოსწონს და, არც მე, რა გასაკვირია.

მაგალითად: პირველი შეხვედრისას, ამ 14 წლის წინათ, 2000 წლის გაზეთ „ახალი თაობის“ ერთ-ერთ ნომერში, ლევან ბერძენიშვილი გაზეთის კორესპონდენტის კითხვას ასე უპასუხებს: „ილიას ლექსი არ მომწონს, ვაჟა ილიაზე დიდია... ვაჟასნაირი პოეტი მსოფლიოში არ მეგულება, იგი ჩვენი განძია და ოდესმე გავაცნობთ მას მსოფლიოს. ის ჩვენ განსაკუთრებულ აღიარებას მოგვიტანს, **მაგრამ ამას ვერ ვიტყვი აკაკიზე, რომელსაც ვერავის გააცნობ...**

აკაკის — „განთიადის“ ავტორს — ვერავის გააცნობო(?!.)!

მოდი და ელაპარაკე, ამას! ავდექი და დავბეჭდე „საქართველოს რესპუბლიკაში“ რეპლიკა, რომელსაც პატივცემული საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი არ გამოხმაურებია (ეგღა აკლდა!), თუმცა, მკითხველის გამოხმაურება საკმაო იყო.

ჰოდა, აი, კიდევ ერთი შეხვედრა 14 წლის შემდეგ: **გუშინწინ საღამოს, ამჯერად ტელევიზიით ვუსმენ ბერძენიშვილს.**

ეკრანზე ვხედავ ჩვენი ინტელიგენციისთვის ცნობილ ადამიანებს — ზურაბ კიკნაძეს, რატი ამაღლობელს, თამარ ლებანიძეს, გიორგი კეკელიძეს... თუ არ ვცდები, რატი ამაღლობელის ცნობილი ციკლის „ჩემი წიგნის“ ერთ-ერთი გადაცემაა. ეტყობა, მათ უკვე ისაუბრეს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ამ ორი კვირის წინათ დაბეჭდილ წერილზე, რომელშიც ლევან ბერძენიშვილის მორიგი „ნააზრევია“ გაკრიტიკებული და ახლა ზოგადად საუბრობენ ქართული ჟურნალისტიკის, ქართველ ჟურნალისტთა უსუსურობაზე. ლევანი აქტიურობს ნამეტნავად. იგი შაყირ-შაყირით, ვითომ ირონიულად „ახურებს“ — **ჟურნალისტიკა სად არის ჩვენთანო, სად არიან ჟურნალისტებიო, სად მწერლობა და სად ჟურნალისტიკაო...**

რა რჯიდა, რატომ ეწვოდა კუდი ბერძენიშვილს?..

როგორც ამ ორი კვირის წინათ „ასავალ-დასავალმა“ ქვეყანას მოსდო, პატივცემული ლევანი სადღაც გამოსულა და ვაჟა-ფშაველას (არა როგორც პოეტის) შესახებ ისეთი რაღაცები უთქვამს, ვაჟას პიროვნებას რომ არ ეკადრება... ჰოდა, „ასავალ-დასავალზე“ დაბოღმილმა მთელი ქართული ჟურნალისტიკა გამოლანძღა.

რატომ, პატივცემულო ლევან, რატომ?! ნუთუ ქართული ჟურნალისტიკის დამსახურებაც არ არის ის, რომ პარლამენტში „ქართული ოცნებაა“ უმრავლესობაში და თქვენც მის რიგებში ხართ?! ხომ სწორედ ჟურნალისტები ქმნიან „საავდრო“ თუ „სადარო“ ამინდს ქვეყანაში თავიანთი ტელე თუ საგაზეთო რეპორტაჟებით?! თუ ის არ მოგწონთ, ქართველი ჟურნალისტები ხშირად ნაავყიებს რომ არ შეარჩენენ?!

მიდი, იბჟუტურე რამდენიც გინდა, ხალხს არაფერი არ ეშელება, იგი ჟურნალისტიკასაც ჯეროვნად აფასებს და მის „მკრიტიკობლებსაც“ („დაკრიტიკობდა, დახტოდა, მკრიტიკობელა პატარა“)!

თავი დაიჭირეთ, ნუ „ღადაობთ“.!

**ვილენ მრადალეიშვილი**

## საზოგადოება და ბანკები

# გაზრდილი მოგება და დაკარგული ქონება

**ფინანსური სექტორის მოგება იზრდება, პარალელურად მატულობს პრობლემური სესხების რაოდენობა. ბინის დაკარგვის საშიშროების წინაშეც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი დგას. ამ საკითხზე ბოლო დროს სულ უფრო გახშირდა საუბარი, მაგრამ გამოსავლის მოძებნისთვის თავს მაინცდამაინც არავინ იწუხებს.**

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სამომხმარებლო სესხებით დავალიანების მოცულობამ წლის პირველ ნახევარში 1.9 მილიარდი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 44.3%-ით არის გაზრდილი. ეროვნულ ვალუტაში გაცემული სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა ერთ წელში 54.2%-ით არის გაზრდილი, ხოლო უცხოურ ვალუტაში — 11.1%-ით.

ალსანიშნავია, რომ საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, 27.1%-ია, რაც 2013 წლის 1 ივლისთან შედარებით 3.8 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული, ხოლო გრძელვადიან სესხებზე კი 17.6%-ს შეადგენს.

დაკრედიტების ზრდასთან ერთად, საკმაოდ სწრაფად მატულობს პრობლემური სესხების მოცულობაც. იმის მოუხედავად, რომ ფინანსური სექტორი სესხის გაცემისას ძალიან ფრთხილობს, დაუბრუნებელი ვალდებულებების რაოდენობა მაინც იზრდება.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება და ბანკები“ დასაკუთრებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ორგანიზაციის განცხადებით, პრობლემური სესხების საკითხი, როგორც ბანკების მმართველების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, დიდ ყურადღებას იქცევს.

2008 წელს არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სწორედ პრობლემური სესხები იყო (ამერიკაში კომერციული ბანკების მიერ დიდი ოდენობის „სუბ-პრაიმის“ (მაღალი რისკის მქონე კლიენტები) სესხების გაცემამ წამყვანი საფინანსო ინსტიტუტების გაკოტრება გამოიწვია, რამაც შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს დაუდო სათავე).



„საქართველოში ბანკების მიერ გაცემული სესხების თითქმის 10% პრობლემურია, რის მიხედვითაც მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო 124 ქვეყანას შორის 52-ე ადგილზეა (ეს მაჩვენებელი საშუალოზე ოდნავ უკეთესია).

პრობლემური სესხების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმა მსესხებლის სესხის გადაუხდელობის გამო სახლის დაკარგვის და უსახლკაროდ დარჩენის შემთხვევებია. ბოლო წლების განმავლობაში მთლიან სესხებში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წილი გაიზარდა, შესაბამისად, ბინის დაკარგვის საშიშროების წინაშეც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი დგას. 2008 წლის (რუსეთ-საქართველოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის) შემდეგ, როგორც კომერციული ბანკების ისე სხვა საფინანსო თუ არასაფინანსო ინსტიტუტების მხრიდან გაყიდული უზრუნველყოფილი საკუთრების ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**„2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით, არსებული მონაცემები ასეთია: ამ პერიოდში სულ 952 უძრავი ქონებაა რეალიზებული. კომერციული ბანკების სასარგებლოდ 172 გაიყიდა, რაც მთლიანი ოდენობის 18,07%-ია. მიკროსაფინანსოების სასარგებლოდ 157 უძრავი ქონებაა (16.49%) რეალიზებული, ხოლო დანარჩენი 623 (65.44%) კი კერძო პირების, ანუ მევახშეების სასარგებლოდ გაიყიდა. ამ მონაცემებიდან აშკარაა, რომ აუქციონის წესით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მთლიან მოცულობაში კერძო მევახშეების სასარგებლოდ გაყიდულ უძრავ ქონებას ყველაზე დიდი წილი უკავია, რაც შემაშფოთებელი ფაქტია“,** — ნათქვამია „საზოგადოება და ბანკების“ კვლევაში.

პარალელურ რეჟიმში თვალსა და ხელს შუა იზრდება ბანკების მოგება. საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის თანახმად, კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ იანვარ-ივნისში 192.4 მილიონი ლარი შეადგინა და 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 25.8%-ით არის გაზრდილი.

გარდა ამისა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 22.7%-ით გაიზარდა და იანვარ-ივნისში 18.3 მილიარდი ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.2 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 17.5%—ია.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების მოსაგვარებლად არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“ მიიჩნევს, რომ აუცილებელია, როგორც მსესხებლების ასევე კრედიტორების ფინანსური განათლების დონის ამაღლება; რისკების მენეჯმენტის გაუმჯობესება და სესხის გაცემის პარამეტრების სრულყოფა; შემოსავლებისა და ვალდებულებების თანაფარდობის კოეფიციენტების დახვეწა; ქვეყანაში აქტივების მართვის კომპანიების სრულყოფა, რომლებიც ბანკებს პრობლემური სესხების მართვაში დაეხმარებიან; კერძო მევახშეების სეგმენტის სააღრიცხვო სისტემის ჩამოყალიბება; ფინანსური კანონმდებლობის მომხმარებლის ინტერესებზე მაქსიმალურად მორგება; ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

**ბექა დანელია**

## ალიანჩალიანი

### თურქი მოქალაქე თბილისში ნარკოტიკების შენახვისთვის დააკავეს

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქაან ჯ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.**

**შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ერთ შეკვრად დაფასოებული 100,5978 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა კლასს მიეკუთვნება.**

**ინტერპრესი**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინანდლის მიმდებარე ტერიტორია, მდ. კისისხევზე, „კისისხევის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 300 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინანდლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 270 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 527 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 254 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №2** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუდროს მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 22 800 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუდროს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 707 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 370,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 941 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №3** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. №165-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 095 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. №165 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 34 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 207 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი |

| | | |
|---|---|---|
| | | წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 366 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 202 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| | დრო და თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და |
| | | ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყაჩაგანის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 600 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყაჩაგანის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 29 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №6** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| | ლიცენზიის სახე | |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხევის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა (წყარო) მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 11 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 202 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №18**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>თ) უნდა განხორციელდეს წყაროს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი |

| | | |
|---|---|---|
| | | მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. უბისის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა (წყარო) მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 4 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. უბისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 67 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 213 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №19**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გაცემის დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, ასათიანის ქ. №119-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 500 მ³ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, ასათიანის ქ. №119 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 113 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 223 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №20**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გაცემის დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №1-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 2 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №1 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 65 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 213 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

კალათბურთი

# სავალალო პარალელები



**ჩეხეთთან „ევრო-2015“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის სტარტზე მოგროვილი 73 ქულა თამაშის მოსაგებად გვეყო, უნგრეთში კი „ჯვაროსანთა“ ანალოგიურმა მონაგარმა გამარჯვება ვერ მოგვიტანა.**

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანსა და გუნდის უპირობო ლიდერზე ზაზა ფაჩულიაზე. ალბათ, გარემოებათა დამთხვევას უნდა მივაწეროთ, რომ მან თბილისშიც და კეჩკემეტშიც 19-19 ქულას მოუყარა თავი, საფინალო სასტვენის შემდეგ კი საწადელს მხოლოდ საკუთარ სარბიელზე მივაღწიეთ.

მოგეხსენებათ, სტატისტიკა მრავლისმეტყველია და თუ მის მონაცემებს ჩავუღრმავდებით, პასუხსაც მივიღებთ კითხვაზე – რატომ დავმარცხდით მადიარებთან.

უპირველესად, შევთანხმდეთ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რამაც განსხვავებული შედეგები განაპირობა, საქმისადმი მეტოქეთა სხვადასხვანაირი მიდგომაა. კერძოდ, თუ პირველ შეხვედრაში იგორ კოკოშკოვის შეგირდებს ექსპერიმენტული შემადგენლობით, ანუ ოთხი წამყვანი კალათბურთელის გარეშე მებრძოლი მოწინააღმდეგე ესტუმრა, ამჯერად მასპინძლებმა, რომ იტყვიან, ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადეს და მთელი თავიანთი დამრტყმელი ძალა დაგვახვედრეს.

სხვა თემაა, რომ ერთადერთი კომპონენტი, რომელშიც ისინი გვჯობდნენ, სამქულიანი ტყორცნებია, რამაც, თავის მხრივ, ჩვენებურთა ტაქტიკური სისუსტე გამოამჟღავნა. დიახ, როცა მთელი მატჩის განმავლობაში შენი კალათი პერიმეტრიდან უმოწყალოდ იბომბება და კონტრზომას ვერ მიაგნებ, ამით უმთავრესად შენი სამწვრთნელო განსწავლულობა დგება ეჭვქვეშ.

რასაკვირველია, ზოგი ყველაფერს შენგელიას დააბრალებს, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში ზედიზედ 4 საჯარიმო გააფუჭა და მათი არგუმენტიც გასათვალისწინებელია, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის – მარკოიშვილის არყოფნაში (აღარაფერს ვამბობ ჰიკმანსა და შერმადინზე) იშვიათად ვტკბებით თანამემამულეთა გათამაშებული კომბინაციებით, ბიჭების ინდივიდუალური ოსტატობა კი მხოლოდ ლოკალურ წარმატებებს თუ ეყოფა.

**საქართველო:** ფაჩულია – 19, შენგელია – 18, სანიკიძე – 12, ბურჯანაძე – 9, ცინცაძე – 6, სანაძე – 5, ფაცაცია – 2, ლეჟავა – 2 ქულა.

ჩეხეთი – პორტუგალია 89:53.

უნგრეთი – 2, საქართველო, ჩეხეთი – 1-1, პორტუგალია – 0 მოგება.

**17 აგვისტოს III ტურში ითამაშებენ:** პორტუგალია – საქართველო (პირდაპირი ტელერეპორტაჟი I არხზე 19 საათზე დაიწყება), ჩეხეთი – უნგრეთი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჭადრაკი

# ბათუმი – 2018



**გუშინ ნორვეგიულ ტრომსოში დამთავრდა 41-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც 311 ქალ-ვაჟთა გუნდი მონაწილეობდა. 2016 წელს მსგავსი შეჯიბრება აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართება.**

ორი დღის წინ ფიდეს გენერალურ ასამბლეას ფარული კენჭისყრით უნდა გადაეწყვიტა, ვინ იქნებოდა 2018 წლის ოლიმპიადის მასპინძელი – ბათუმი თუ სამხრეთაფრიკული კეიპტაუნი. არჩევნებამდე ერთი დღით ადრე საქართველოს დელეგაციამ ტრომსოში წინასწარ პრეზენტაციაზე დაპატიჟა ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების საჭადრაკო ფედერაციების წარმომადგენლები და გენერალური ასამბლეის დელეგატები. სულ 250-ზე მეტმა სტუმარმა მოიყარა თავი, რომლებსაც უჩვენეს დოკუმენტური ფილმები საქართველოსა და ქართულ ჭადრაკზე, სამახსოვრო სუვენირები გადასცეს, ჩურჩხელებითა და ქართული ღვინით გაუმასპინძლდნენ. 13 აგვისტოს კი კენჭისყრა გაიმართა. აჭარის დედაქალაქის კანდიდატურას 93-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი, კეიპტაუნს კი მხოლოდ 51 მომხრე ჰყავდა. ამდენად, 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება ბათუმში, რომელიც ბოლო 15 წელიწადია, საჭადრაკო მექად იქცა – უმასპინძლა ქალ-ვაჟთა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატებს, ევროპა-აზიის მატჩს, ასაკობრივ მსოფლიო და ევროპის პირველობებს, შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალებს, რომლებსაც საჭადრაკო ოლიმპიადა დააგვირგვინებს.

**ლექსო ცინცაძე**

კრივი

# დღეს ნახევარფინალებია

**ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დღეს ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მოკრივეთა კონტინენტის პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება. რინგზე სამი ჩვენებურიც გავა:**

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოთარ ერანოსიანმა პირველ წრეში ფაბიო ინტროვაია (იტალია) დაამარცხა, შემდეგ ელიან დიმიტროვს (ბულგარეთი) აჯობა და ნახევარფინალში მიხალ ზატორსკის (სლოვაკეთი) შეხვდება.

91 კილოში ლევან გულედანმაც ორი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან – ფინელი ტომი ჰონკა და სლოვაკი ერიკ ტლკანეჩი. დღეს იგი ლიტველ ტადას ტამასკაუსკასს დაუპირისპირდება. 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანმა მიხეილ ბახტიძემ (+91) მეოთხედფინალში ნოკაუტით სძლია მარინ მინდოლიევიჩს (ხორვატეთი) და ახლა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე იტალიელ გვიდო ვიანელოსთან გაარკვევს ურთიერთობას. საქართველოს სამივე წარმომადგენელმა ნახევარფინალში გასვლით ბრინჯაოს მედლები დაიბევა.



წინა დღეებში შეჯიბრებას გამოეთიშნენ ირაკლი მელიქიშვილი (64), ზაალ კვაჭატაძე (69), გოჩა ბადურაშვილი (75) და ნიკოლოზ სეხნიაშვილი (81). ხვალ ფინალური პაექრობებია დანიშნული.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ნახევარფინალისტები მწვრთნელებთან ერთად.**

მშვიდობით, „მამლებო“!

# რიბერიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა

**მიუნხენის „ბაიერნის“ 31 წლის ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. მიზეზად ფრანგმა მოთამაშემ ზურგის პრობლემები დაასახელა, რის გამოც მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვება მოუწია.**



„ნაკრებიდან მივდივარ. ვთვლი, რომ ამის დრო დადგა. მსურს მეტი დრო გავატარო ოჯახთან ერთად და მთლიანად კონცენტრირებული ვიყო „ბაიერნის“ მიზნებზე.

გარდა ამისა, ჩვენ ნიჭიერი თაობა მოგვდის, რომელთათვისაც ადგილის განთავისუფლებაა საჭირო. მქონდა როგორც აღმავლობის პერიოდი, ასევე ჩავარდნები. ახლა კი ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება“ – ციტირებს ფრანგის სიტყვებს გერმანული kicker-ი.

რიბერი საფრანგეთის ნაკრებში 2006 წლიდან თამაშობდა. ამ დროის მანძილზე 81 შეხვედრა ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა. 2006 წელს ახლოს იყო მსოფლიო ჩემპიონატის მოგებასთან, თუმცა მისი გუნდი პენალტების სერიაში იტალიის ნაკრებთან დამარცხდა ფინალში.

**კობა კობახიძე**

ვინ დათარსა?

# „ბაიერნის“ ექიმი თითქმის დარწმუნებულია, რომ მარტინესს ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი

**მიუნხენის „ბაიერნისა“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ხავი მარტინესი, შესაძლოა, მოედანს ექვსი თვით დაემშვიდობოს. ამის მიზეზი სამშაბათის შეხვედრაში მიღებული ტრავმაა.**

შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი“ – „ბორუსიას“ მატჩის 31-ე წუთზე ესპანელმა “მაკრატელას“ დარტყმა სცადა და ჯერ მუხლი შმელცერს მოარტყა, შემდეგ კი უხერხულად დაეშვა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. აღნიშნულთან დაკავშირებით ესპანელმა Goal.com-თან ისაუბრა და „ბაიერნის“ გულშემატკივრებისთვის საკმაოდ უსიამოვნო რამ განაცხადა:



„ექიმს ველაპარაკე და ის 99%-ით დარწმუნებულია, რომ ჯვარედინი მყესები მაქვს გაწყვეტილი. თუ ეს დიაგნოზი გამართლდა, მსურს, რომ ოპერაცია ხვალვე ჩამიტარდეს, რათა მოედანს მინიმალურ დროში დავუბრუნდე,“ – განაცხადა ხავიმ.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, იგი დორტმუნდელებმა 2:0 მოიგეს და გერმანიის სუპერთასის მფლობელის ტიტული შეინარჩუნეს. ანგარიში 23-ე წუთზე მხითარიანმა გახსნა, ხოლო 62-ე წუთზე ობამეიანგმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ილარი დამიკო – ბუფონის ახალი გულისსწორი



**მას შემდეგ, რაც იტალიელი გოლკიპერი ჯანლუიჯი ბუფონი თავის ცოლს, ჩეხ მოდელს ალიონა სერედოვას დაშორდა, უმალ დაიწყო მითქმა-მოთქმა, თუ ვინ დაიკავებდა ბუფონის გულისსწორის ესოდენ საპატიო და კონკურენციით გადატვირთულ ადგილს.**

საბოლოოდ გაქარწყლდა ყველანაირი ზედმეტი საუბარი და ჯანლუიჯიმ თავისი ახალი საყვარელი, იტალიელი მოდელი ილარი დამიკო გამოამზეურა, რომელთანაც ლეგენდარულ გოლკიპერს რომანი მთელი წლის განმავლობაში ჰქონია და ამ ამბავს ბუფონი თავის ცოლს ასე გულმოდგინედ უმალავდა.

ბუფონის ცოლთან დაშორების შემდეგ ზოგიერთი იტალიური გაზეთი წერდა, თითქოს ჯიჯიმ შვილებიც მიივიწყა და მათთან ურთიერთობაზეც კი უარი განაცხადაო. თუმცა ეს უტიფარი ჭორი აღმოჩნდა. ბუფონმა თავის ნაცოლარსა და შვილებს უზარმაზარი ვილა და რამდენიმე მილიონი ევრო დაუტოვა და შვილებსაც თურმე ძალიან ხშირად ნახულობს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

საქმე №1/54-2014

# საარბიტრაჟო დადგენილება

**შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით**

## საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

13 აგვისტო 2014 წელი — ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**
**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: ვახტანგ ბასიშვილი**
**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 17 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი მოპასუხის ვახტანგ ბასიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 25 ნოემბერს ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა“ და მეორეს მხრივ, ვახტანგ ბასიშვილს შორის დაიდო №061110145 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 17300 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 48 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 03.06.2012წ.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

– მარკა, მოდელი: კამაზ 55111; ტიპი: თვითმცლელი; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1987; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №276280. სარეგისტრაციო მოწმობა: AV6542072, სარეგისტრაციო ნომერი: MPM610.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს, მას დაერიცხება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.3% ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლევან ცერცვაძეს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ და მისი რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მისამართზე, გორის რაიონი, სოფელ დიცში, თუმცა, კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ვახტანგ ბასიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შენდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ვახტანგ ბასიშვილი რეგისტრაციისა და ამავდროულად მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ვახტანგ ბასიშვილს (პირადი №59002000730) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. ვახტანგ ბასიშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ვახტანგ ბასიშვილს ეცნობოს, რომ 2014 წლის 5 სექტემბერს 11:00 საათზე შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ვახტანგ ბასიშვილის მიმართ.
5. ვახტანგ ბასიშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

**განცხადება**

# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სულთანა ასან კიზის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** სულთანა ასან კიზი (პირადი №24001039930), მის: კასპი, სოფელი ფერმა;

**უძრავი ნივთების ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

კასპის რაიონი, სოფელი ფერმა, 584კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 67.06.35.160);

კასპის რაიონი, სოფელი ფერმა, 625.მ. მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საცხოვრებელი სახლი, განაშენიანების ფართი 138.99კვ.მ., №2 დამხმარე ნაგებობა, განაშენიანების ფართი 54.96კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 67.06.51.066).

**უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 21715.56 ლარი, პლუს სპეციალისტის მომსახურების საფასური – 1737.24 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2014 წლის 3 სექტემბერი, 10:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ჰასან თოფჩიევი (პირადი №24001001885), მის: კასპი, სოფელი ფერმა;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 3 სექტემბრის 10:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 9-62-77; 568 82-09-84..

**სუსანა (თინა), ნინო, ანზორ ბურჯანაძეები, ბადრი, ანზორ, რეზიკო ბიწაძეები მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი ნათესავის, სახელოვანი მოქალაქის და პატრიოტის**

**ზვიად ბერაძის**

**გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 15 VIII, 17 სთ. გამოსვენება 16 VIII, 15 სთ. მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის 139.**

**წკეპლიკა**

## ხაზი დაკავებულია...

**პატივცემულო რედაქცია,**

**როგორც მოგეხსენებათ, სიბერე ჭირთა სიბევრეა, და ოთხმოცი წლის კაცს ხან რომელი წამალი მჭირდება, ხან რომელი. ყველა აფთიაქში ცალ-ცალკე რეკვა კი შეუძლებელია. ამიტომ მოვიძიე ქალაქის სააფთიაქო ცნობარი – 225-22-33 და დავიწყე რეკვა, ამ წერილს რომ გწერთ, ზუსტად ერთი კვირა გახდა, რაც ამაოდ ვრეკავ 225-22-33 ნომერს და, როგორც იტყვიან, ავადმყოფობა „ავიკიდე“ – ნევროზი, რომელსაც სახელიც დავარქვი – ხაზი დაკავებულია.**

**პირდაპირ საკვირველია, ნუთუ ამ მთელი ოცდაოთხი საათი დაკავებულ ხაზს პატრონი არა ჰყავს!..**

**ჯუმბერ ბესელაშვილი,**
ვეტერანი-პენსიონერი,
ქ. თბილისი.

**ალიანჩალიანი**

## ქვეყანა ხანძრებმა მოიცვა

**მიმდინარე წლის 6 თვეში საქართველოში ხანძრის 1703 შემთხვევა დაფიქსირდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხანძრების შედეგად 38 ადამიანი დაიღუპა და 61 დაშავდა.**

**ხშირ შემთხვევაში (1005) ცეცხლის წარმოქმნის მიზეზი დაუდგენელია. ხანძრის გამომწვევ მიზეზად კი ხშირად ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა (333) და ელექტრომოწყობილობისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევა (149) ფიქსირდება. ხანძრის შედეგად განადგურდა 327 შენობა. დაიღუპა წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი (99).**

**რაც შეეეხება 2013 წლის 6 თვის მონაცემებს, ამ პერიოდში საქართველოში ხანძრის 1585 შემთხვევა ფიქსირდება. აქედან, 28 ადამიანი დაიღუპა და 48 დაშავდა.**

* * *

**თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის თემურ გიორგაძის ინფორმაციით, იყო საფრთხე, რომ თემქაზე ე.წ. არაშენდას მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძარი დასახლებულ პუნქტზე გადასულიყო.**

**მისი თქმით, სახანძრო სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა დროულად იმოქმედეს და ხანძარი ჩააქრეს.**

**მისივე ინფორმაციით, დამწვარია 12 ჰექტარი ტყის მასივი. სულ გამოძახებული იყო 12 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა.**

**ადგილზე იმყოფებოდა გამგებელი ზაზა გაბუნია. მისი ინფორმაციით, ამ შემთხვევაშიც ხანძარი, სავარაუდოდ, დაუდევრობამ გამოიწვია.**

## ჩვენი კარაბადინი

### დაიკელით წონაში მთელი ოჯახით!

**ბავშვის სიმსუქნესთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალება — ეს მთელი ოჯახის კვებითი ჩვევების კორექტირებაა — დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა.**

გამოკვლევაში, რომელიც ორი წელი გრძელდებოდა, მონაწილეობდნენ 2-5 წლის ბავშვები. ერთი ჯგუფის მშობლებს უნდა ეკონტროლებინათ არა მხოლოდ ბავშვის წონა, არამედ თავისიც.



ოჯახები ღებულობდნენ კონსულტაციებს კვებისა და ფიზიკური აქტივობის საკითხებზე, აწარმოებდნენ დღიურებს, სადაც იწერდნენ ბავშვის მიერ საკვების ყოველ მიღებას, მათს სპორტულ ვარჯიშებს და აღნიშნავდნენ წონას — როგორც თავისას, ისე ბავშვისაც.

შედეგად, იმ მშობლებმა, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ თავიანთ წონას, საშუალოდ 7 კილოგრამი დაიკლეს — იმ საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებით, ვისი წონაც არ შეცვლილა. რაც შეეხება ბავშვების მშობლებს, რომლებიც იკლებდნენ წონაში, მათი „მომატება" ზრდის გათვალისწინებით, შეესაბამებოდა ასაკს: 2 წლის განმავლობაში ბავშვებმა საშუალოდ მოიმატეს 5 კილოგრამი თითოეულმა. იმ პატარებმა კი, რომლებსაც მკურნალობდნენ მშობლების ჩაურევლად, მოიმატეს 7-7 კილოგრამი.

### ვიგრძნოთ კანით

**გარკვეული სუნი ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას — ასეთი აღმოჩენა გააკეთეს გერმანელმა მეცნიერებმა, როგორც გამოირკვა, ყნოსვის რეცეპტორები არის არა მხოლოდ ცხვირში, არამედ ადამიანის მთელ სხეულში და, თუ მათზე მოვახდენთ ზემოქმედებას სუნიანი ნივთიერებებით, ხდება კანის აქტიური რეგენერაცია. ადრე მიაჩნდათ, რომ ყნოსვის რეცეპტორები არის მხოლოდ ცხვირში, სადაც ისინი 350-ზე მეტი ტიპისაა.** ახლა კი დაახლოებით 150 მათგანი მკვლევარებმა აღმოაჩინეს კანისა და შინაგანი ორგანოების უჯრედებში. უკვე ახლა სპეციალისტებმა ისწავლეს იმ რეცეპტორებზე ზემოქმედება, რომლებიც არის კანის ზედაპირზე, არომათერაპიის დახმარებით. ცდების საშუალებებით მათ გამოარკვიეს, რომ თუ ეპიდერმისის უჯრედებს მივცემთ „სასუნთქად" სინთეთიკურ სანდალოზის ზეთს, ისინი იწყებენ გაძლიერებულ დაყოფას და გადაადგილებას, ესე იგი ამოქმედებენ რეგენერაციის პროცესს.



### სინესტე ეგზემის დროს

**ეგზემის მკურნალობის დროს გვეხმარება სველი სახვევები, აჩვენა გამოკვლევამ, რომელიც მოაწყვეს დენვერში ებრაელთა ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ყოველ მეხუთე ბავშვს ეგზემით აწუხებს ძლიერი ქავილი. სიმპტომების შემსუბუქებისათვის პაციენტები იძულებული არიან მიიღონ ძლიერმოქმედი პრეპარატები, რომლებსაც თან ახლავთ მძიმე თანმხვედრი ეფექტები. თუმცა, მოთხოვნა პრეპარატებზე შეიძლება შევამციროთ მარტივი ფიზიოთერაპევტული პროცედურებით.**

ბავშვი ჯერ ღებულობს 20-წუთიან თბილ აბაზანებს, შემდეგ დაზიანებულ ადგილებში უსვამენ სამკურნალო საშუალებებს, დანარჩენ კანს კი — კრემს. ბავშვს სწრაფად აცმევენ სველ ტანსაცმელს, მეორე ფენად — მშრალს. ის ასე უნდა იყოს სულ ცოტა ორი საათი.

ასეთი მკურნალობის შემდეგ ბავშვების მდგომარეობა უმჯობესდება შემთხვევების 71 პროცენტში. პატარა პაციენტების კანი რჩებოდა ჯანსაღი ერთი თვის განმავლობაში გამოწერის შემდეგ ჩვეულებრივი პრეპარატების გაუქმების შემდეგაც კი.

### როგორ ავუაროთ გვერდი სიცხეს

**იაპონიაში დაამუშავეს სიარულის ტექნიკა, რომელიც გვეხმარება გადავიტანოთ სიცხე. სიარულის განსაკუთრებული ხერხი გვეხმარება, ადვილად გადავიტანოთ ზაფხულის სიცხე და აუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას.** იაპონელი მეცნიერები გვირჩევენ



რიგრიგობით შევცვალოთ გასეირნების სწრაფი და ნორმალური ტემპი ყოველ 3 წუთში. ამ დროს მნიშვნელობა აქვს ქუსლიდან ტერფზე გადასვლას, იდაყვები კი გვეჭიროს მოღუნულები პირდაპირი კუთხით, მოვადუნოთ მხრები. ათვისებისათვის ტექნიკა მარტივია, ამიტომ სწრაფად იხვეჭს პოპულარობას. ახალი სიარული უკვე ასწავლეს დაახლოებით 900 ხანდაზმულ იაპონელს. მეთოდიკის ეფექტიანობის მიუხედავად, მისი ავტორი გვაფრთხილებს — ყურადღება მივაქციოთ ორგანიზმის მდგომარეობას სიარულის დროს და დავისვენოთ დღის ყველაზე ცხელ დროს.

### კბილები - როგორც მარგალიტები

**232 კბილი ქვედა ყბიდან ამოუღეს 17 წლის ჭაბუკს მუმბაის (ინდოეთი) ერთ-ერთ საავადმყოფოში. ექიმებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.**

უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში ჭაბუკს აწუხებდა ავადმყოფური სიმსივნე, რომელიც გაჩნდა კბილის ჩანასახების ჩამოყალიბების დარღვევის შედეგად. სიმსივნის გახსნის შემდეგ ორმა ქირურგმა და ორმა ასისტენტმა შვიდი საათის განმავლობაში მისი ქსოვილებიდან ამოიღეს კბილები, რომლებიც პატარა თეთრ მარგალიტებს გავდნენ. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ეს შემთხვევა უკიდურესად იშვიათია. სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია 37 კბილის ამოღების შემთხვევა, აქ კი — ასეულებია!

## ცინცხალი ანეკდოტები

**ზოოპარკის დარაჯმა 2 ათასი დოლარისთვის მხოლოდ კი არ შეაღო ვეფხვის გალიის კარი, არამედ მას ხახაში ჩაუდო თავისი ხელი, ფეხი და თავიც კი. 2 ათასი დოლარი ხომ კარგი ფულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 30 კილოგრამ იაფიან ღორის ხორცში, რითაც მან წინასწარ გამოკვება ვეფხვი, სულ 200 დოლარი გადაიხადა.**

* * *

**— სუნ-იან, — ეუბნება მასწავლებელი ჩინური სკოლის მოსწავლე გოგოს, — რატომ დაიგვიანე დღესაც?!**



**— მოხუცებულს დავეხმარე ქუჩაზე გადასვლაში.**

**— ტყუი!**

**— ბრინჯის პურს ვაცხობდი...**

**— ისევ ტყუი!**

**— ვმშობიარობდი...**

**— კარგი,დაჯექი.**

* * *

**— ჩვენს მაცივარში ვიღაც მოკვდა, ფუუჰ, აქოთებულია აქაურობა!**

**— ფუუჰ, მართლაც... თუმცა შიგ თითქოს არაფერი არ არის.**

**— თვითონ მაცივარი მომკვდარა შიმშილისგან!**

* * *

**მისმინე, ბელადო! — ეუბნება ინდოელი ტომის თავკაცს, — რატომ ჰქვია ჩვენს ტომში ყველას ასეთი იდიოტური სახელები?**

**— რატომ იდიოტური? — უპასუხებს ბელადი, მე, მაგალითად, თეთრი არწივი მქვია, ჩემს ცოლს — ფუმფულა ბეწვიანი ციყვი. ჩემს ძმას შევარდნის კლანჭი ჰქვია, ბიძაჩემს — არწივის თვალი. ასე რომ, არა ხარ მართალი, დამპალო პომიდორო.**


საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის" და „სალხინოს" კომპლექსური გამოყენება

კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის" და „სალხინოს"** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის" და „სალხინოს"** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში — 2 კაფსულა „ფერდი" და 1 კაფსულა „სალხინო" 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი" ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.




**„ფერდი" და „სალხინო"** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..


## კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24